

ანგარიში მომზადებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის პროგრამული მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის: „სამოქალაქო ჩართულობა სამომხმარებლო ბაზარზე ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განთავსების ხელშეწყობისთვის“ ფარგლებში¹.

საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე შესვლის ხელშეწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი და გაუმჯობესების პერსპექტივები

თბილისი,

2020 წლის დეკემბერი

¹ პროექტის პარტნიორები არიან: ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (კოორდინატორი ორგანიზაცია); ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია; ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკა“; გურის აგრობიზნეს ცენტრი; ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“; ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის; საზოგადოებრივი დამცველი; ქალთა პოლიტიკის რესურს ცენტრი.

სარჩევი

შესავალი.....	3
მემცენარეობის პრიორიტეტული დარგების ექსპორტზე ორიენტირებული ბიოწარმოების განვითარება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - პერსპექტივის შეფასება.....	5
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ძირითადი გამოწვევები, ახალი საწარმოო ტექნოლოგიებისა და ონლაინ სამომხმარებლო ბაზრების ხელმისაწვდომობა და სამომავლო პერსპექტივები.....	11
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ენერგოეფექტურ და ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებზე ინფორმირებისა და ხელმისაწვდომობის შეფასება თეთრიწყაროსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში	15
შავი ზღვის სანაპირო ზონაში სარეწაო ობიექტების ჰაბიტატების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და თევზჭერის საკითხები.....	20
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეალიზაციის ხელშეწყობა საოკუპაციო/გამყოფ ხაზთან მდებარე დასახლებებში	29
გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა საქართველოში	34
„ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხელმისაწვდომობა და ადამიანის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებების დაცვა“	40
ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებების განხორციელების შეფასება ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში	46

შესავალი

პანდემიამ კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩინა ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ადგილობრივი სასურსათო პროდუქციით მოსახლეობის დაკმაყოფილების მნიშვნელობა. დაბალი სასურსათო უსაფრთხოების მქონე ქვეყნების მოსახლეობაზე პანდემიის გავლენას FAO (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) შემდეგნაირად აფასებს: „საზღვრების ჩაკეტვამ, საკარანტინო რეჟიმმა, ბაზრების, მომარაგების ქსელისა და ვაჭრობის შეფერხებამ შესაძლოა მოსახლეობას შეუზღუდოს წვდომა საკმარისი რაოდენობის ნოყიერი და მრავალფეროვანი სურსათის წყაროებზე, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ ვირუსით, ან სადაც სასურსათო უსაფრთხოება ძალზედ დაბალია“

მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს შორსაა სრულყოფილებისაგან, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სასურსათო ბაზრის უდიდესი ნაწილი ისეთი იმპორტირებული პროდუქციით არის დაკავებული, რისი წარმოების დიდი პოტენციალიც ქვეყანას გააჩნია.

საქართველო, რომელიც ზღვის ქვეყანაა და, ამასთან ერთად, მდიდარია მდინარეებითა და ბუნებრივი წყალსატევებით, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს თავის მოსახლეობას თევზის პროდუქტებით და ძირითდად იმპორტზეა დამოკიდებული.

ქართული ბოსტნეულის დეფიციტის გამო, საქართველოს მოსახლეობა ხშირად იძულებულია მოიხმაროს ისეთი სასურსათო პროდუქტი, რომლის წარმომავლობაზეც ელემენტარული ინფორმაციაც კი არა აქვს.

ადგილობრივი სურსათი მცირე მოცულობით იწარმოება, თუმცა წარმოებული პროდუქტიც ვერ აღწევს მომხმარებელამდე, რადგან სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს სასურსათო ბაზარზე პროდუქციის განთავსების პრობლემებიც აქვთ.

ადგილობრივი სასურსათო ბაზრის განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია საქართველოში წარმოებული პროდუქტის ექსპორტზე გატანაც, რაც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის. ამასთან ერთად, ევროკავშირთან გაფორმებული გვაქვს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რაც გზას უხსნის ქართულ პროდუქციას მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარზე, რომელიც 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირში მკაცრდება მოთხოვნები ადგილზე წარმოებული და, ასევე, იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმართ.

სამართლიანი, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო სისტემის შექმნისათვის ევროპული მწვანე შეთანხმების (European Green Deal²) ფარგლებში ევროკომისიამ შეიმუშავა სტრატეგია „ფერმიდან – ჩანგლამდე“ (From Farm to Fork³). კომისია მუშაობს წევრ სახელმწიფოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რათა წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიული გეგმები სრულად ასახავდეს ევროპული მწვანე შეთანხმებისა და „ფერმიდან – ჩანგლამდე“ სტრატეგიის მოთხოვნებს. ამასთანავე,

² <https://www.kowi.de/Portaldata/2/Resources/fp/2019-com-european-green-deal-communication.pdf>

³ https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal/actions-being-taken-eu/farm-fork_en

იმპორტირებული სასურსათო პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის გარემოსდაცვით სტანდარტებს, ევროკავშირის ბაზრებზე არ დაიშვება.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა ევროპის მწვანე შეთანხმების მნიშვნელობა, რადგან არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა არ უნდა გადაფაროს არანაკლები საფრთხის შემცველი კლიმატის და, ზოგადად, ეკოლოგიური კრიზისი. უფრო მეტიც, ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ვონ დერ ლეიენი აცხადებს, რომ კოვიდ-19-ის შემდგომი აღორძინების დასაბამი სწორედ ევროპული მწვანე შეთანხმება უნდა იყოს (The European Green Deal must be at the heart of the COVID-19 recovery).

ევროპულ მწვანე შეთანხმებასთან (გამოქვეყნდა 11.12.2019) საქართველოს მიერთების კუთხით ხელისუფლებამ უნდა გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები - ხელი შეუწყოს ისეთი მდგრადი პრაქტიკების დანერგვას, როგორცაა: ზუსტი სოფლის მეურნეობა, ორგანული მეურნეობა, აგრო-ეკოლოგია, აგრო – სატყეო მეურნეობა, გარემოსათვის უსაფრთხო თევზმეურნეობები (რომლებსაც გააჩნიათ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების და ადაპტაციის მნიშვნელოვანი პოტენციალი).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან ევროკავშირში ექსპორტის მნიშვნელოვანი პოტენციალი ბიოპროდუქციას გააჩნია (ბიოწარმოება კანონით რეგულირდება და ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი სისტემაა, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას - ნიადაგის, ეკოსისტემის შენარჩუნებას და ადამიანის, როგორც გარემოს ნაწილის, კეთილდღეობას). ჩვენ შეგვიძლია ვაწამოთ მაღალი ხარისხის ბიოპროდუქცია, რომელზე მოთხოვნაც ევრობაზარზე სულ უფრო მზადრია.

მოცემულ პროექტში ჩართული სამოქალაქო ორგანიზაციები სხვადასხვა კუთხით აანალიზებენ ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე განთავსების ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებს.

რეკომენდაციები მომზადდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციით უზრუნველყოფის, თანამედროვე საწარმოო (ბიო/ორგანული წარმოება, ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში) და მარკეტინგული ტექნოლოგიების (მათ შორის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო (ICT) ტექნოლოგიების) დანერგვის, მომხმარებლის ინფორმირებულობის, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირთა გენდერული უთანასწორობის და დისკრიმინაციის პრევენციის საკითხებზე. ასევე საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებისათვის განსაკუთრებული მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებისა და ამოქმედების საჭიროებაზე.

მემცენარეობის პრიორიტეტული დარგების ექსპორტზე ორიენტირებული ბიოწარმოების განვითარება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - პერსპექტივის შეფასება

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

მანანა წულაია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ადვოკატორების ჯგუფის წარმომადგენელი

რეგიონში მიმდინარე პროექტების მოკლე მიმოხილვა

გურია იმ საპილოტე რეგიონებს შორის არის, რომელთაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული - „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების“ საგრანტო პროგრამა ეხება. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს დაბალანსებულ ტერიტორიულ განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და სტანდარტების გაუმჯობესებას, ინკლუზიური და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივების განხორციელების გზით.

გურიის რეგიონს აქვს პოტენციალი, გახდეს საქართველოში პირველი კლიმატ-ნეიტრალური მწვანე რეგიონი. ა.წ. 22 აგვისტოს პროექტის „გამჭვირვალობის ინტეგრირებული ჩარჩო საქართველოში პარიზის შეთანხმების განსახორციელებლად“ ფარგლებში, გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა⁴. ამით საფუძველი ჩაეყარა გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება და ეტაპობრივად განხორციელდება ევროპული კლიმატგონივრული განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა.

ორგანული სოფლის მეურნეობა კლიმატის ცვლილებაზე გავლენის შერბილებისა და ადაპტაციის თვალსაზრისით კლიმატგონივრული პოლიტიკის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. ამდენად კლიმატგონივრული პოლიტიკის მიერ დონორების მობილიზაციის ახალი შესაძლებლობების შექმნა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამატებითი შესაძლებლობა ორგანული წარმოების განვითარებისათვის.

გურიის ნიადაგურ-კლიმატური პირობები მემცენარეობის ისეთი დარგების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, როგორცაა მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, კენკროვანი კულტურების (მ.შ. ლურჯი მოცვის) წარმოება, აგრეთვე, სხვადასხვა სუბტროპიკული ხილის, როგორცაა ხურმა, ზეთისხილი, პეკანი, ფეიჰოა, ავოკადო, მუშმალა და სხვ.; მერქნიან-ტექნიკური კულტურებიდან ახლო წარსულში გავრცელებული იყო ბამბუკის, ტუნგის, დაფნისა და ევკალიპტის წარმოება. რეგიონში ნათესი ფართობების მიხედვით ყველაზე მეტად სიმინდი, თხილი, ციტრუსი, ჩაი და ხეხილია გავრცელებული, რაც ამ კულტურების პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე მიუთითებს⁵.

რეგიონში ყოველწლიურად იზრდება ლურჯი მოცვის ფართობები. სახელმწიფო რწმუნებულის, ზურაბ ნასარაიას, განცხადებით, გურიაში ლურჯი მოცვი ჯამში 225 ჰექტარზეა გაშენებული - „რეგიონში ბაღების გაშენების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. ბაღები შენდება როგორც დიდი, კომერციული დანიშნულების, ასევე მცირე ზომის, წვრილ ფერმერულ მეურნეობებში, ძირითადად, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, რომლებიც უშუალოდ ფერმერთა

⁴ <https://1tv.ge/news/gaero-s-garemosdacviti-programa-gurias-klimat-neutraluri-mwvane-regionis-statusis-mighwevashi-daekhmareba>

⁵ <http://guria.gov.ge/geo/static/209>

მხარდაჭერისთვის ხორციელდება. რეგიონი ერთ-ერთი მოწინავე გახდა კენკროვანი კულტურების წარმოების კუთხით, ათობით ჰექტარზე მიმდინარეობს მოცვის გაშენება”⁶. რეგიონში ასევე ყოველწლიურად იზრდება თხილის კულტურის მიერ დაკავებული ფართობი. თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის, მერაბ ჭითანავას თქმით, წელს საქართველომ თხილის უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებს შორის მესამე ადგილი დაიბრუნა, მიზანი კი მომდევნო წლებში მეორე ადგილზე გადანაცვლებაა⁷.

2016 წლის იანვარში დამტკიცდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს მხარდაჭერით, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში 1192 ჰექტარ ფართობზე ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია განხორციელდა⁸. ჯერ კიდევ ჩაის რეაბილიტაციის პროგრამის დაწყებამდე ცნობილი გახდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილის მოსაზრება საქართველოში ბიო-ჩაის წარმოების პოტენციალთან დაკავშირებით - „საქართველოს გააჩნია პოტენციური ბიო ჩაის წარმოების კუთხით. ეს არის ყველაზე ჩრდილოეთით წარმოების წერტილი. შესაბამისად, მავნებელი მწერებისგან დაავადებების რისკი ნაკლებია, ამიტომ პესტიციდების გამოყენება შეიძლება იყოს მინიმალური, ან საერთოდ არ იყოს. ამიტომ ორგანული ჩაის წარმოება იძენს გარკვეულ პოტენციალს“⁹.

2020 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება (№620) „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები - გაიზარდა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების ოდენობები. ბენეფიციარების ვალდებულებების ნაწილში (მუხლი 7), რომელიც ეხება ასევე ბიო-ჩაის მწარმოებლებს, დაემატა შემდეგი ფორმულირება: „თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 36 თვის შემდგომ, მომდევნო 2 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად აწარმოონ ჩაის ნედლი ფოთოლი არანაკლებ შემდეგი მოცულობისა: 1 000 კგ ნედლი ფოთოლი 1 ჰა-ზე, ბიო ჩაის მოყვანის შემთხვევაში“. 2016 წლის დადგენილებით, ბენეფიციარის ვალდებულება ბიო-ჩაის წარმოების შემთხვევაში იყო 250 კგ მზა პროდუქტია 1 ჰა-ზე (დაუფასოებელი ჩაი). ეს ჩანაწერები გვიჩვენებს რომ რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ბიო-ჩაის წარმოებაც არის გათვალისწინებული. თუმცა, რეაბილიტაციის პროგრამაში ბიო-ჩაის მწარმოებელთათვის დამატებით რაიმე კონკრეტული სახის დახმარებაზე საუბარი არ არის. ბიო-ჩაის წარმოებასთან დაკავშირებით გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ: „მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ არსებული პლანტაციების შენარჩუნება და მათი პროდუქტიულობის გაზრდა, მზა ჩაის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ეკოლოგიურად სუფთა ორგანული ბიო-ჩაის წარმოებაზე ეტაპობრივად გადასვლა“. თუმცა, გურიის რეგიონში და, კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ორგანული წარმოების (მათ შორის ბიო-ჩაის) ხელშემწყობი პროექტები არ ხორციელდება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2019 წლის 30 აგვისტოს საზოგადოებას წარუდგინა „საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027“ და „2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნებამდე გაკეთდა განცხადებები ბიოწარმოების ხელშეწყობის თაობაზე, სტრატეგიის დოკუმენტში სახელმწიფოს პრიორიტეტად არ იყო

⁶ <https://1tv.ge/news/guriashi-gashenebul-lurji-mocvis-plantaciebshi-wels-250-tona-mosavals-elodebian/>

⁷ <https://v2.bm.ge/ka/article/ratom-gaizarda-txilis-eqsporiti---metxileta-asociaciis-ganmarteba/66454/>

⁸ <https://report.ge/economics/reabilitirebulia-1-192-hektari-chais-plantatsia/>

⁹ <http://eugeorgia.info/ka/article/324/qartul-bio-chais-evrokavshirshi-nishis-dakaveba-sheudzlia>

განსაზღვრული ბიო/ორგანული წარმოების განვითარება. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ ინიცირებული პეტიციის - "ბიოპროდუქტების პოპულარიზაცია უნდა იყოს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი" - შემდეგ, რომელსაც ხელი მოაწერა 1200 მოქალაქემ, მოთხოვნები განიხილა საქართველოს პარლამენტის აგრარულმა კომიტეტმა (წარადგინა „ელკანას“ დირექტორმა, მარიამ ჯორჯაძემ) და 2021 -2023 წლების სამოქმედო გეგმაში ამოცანის დონეზე ბიოწარმოების ხელშეწყობა შევიდა. საჭიროა, რომ „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაშიც“ შევიდეს შესწორებები და გათვალისწინებული იქნეს ბიო/ორგანული წარმოების ხელშეწყობის კომპონენტი შესაბამისი ბიუჯეტით.

ბიო წარმოების განვითარების შესაძლებლობები და შემაფერხებელი ფაქტორები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

გურიაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებენ ასოციაცია „ელკანას“ წევრი ფერმერები. თუმცა მათ სერტიფიცირება არ აქვთ გავლილი და ბიოსერტიფიკატს არ ფლობენ. ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეგო ბიოფერმერების, რეგიონული ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მსხვილი მეწარმეების მოსაზრებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბიოპროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის პერსპექტივებთან დაკავშირებით, რისთვისაც მათ ონლაინ გამოკითხვა ჩავუტარეთ.

ჩვენი რესპონდენტები საუბრობენ ბიოწარმოების მნიშვნელობაზე, გურიაში ბიოპროდუქციის წარმოებისა და ევროპის ბაზარზე გატანის პერსპექტივებზე. ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის (ა. ლ.) მოსაზრებით - „ისეთი პროდუქცია უნდა გავიდეს უცხოეთის ბაზარზე, რომლის წარმოების თვითღირებულება ძალიან მაღალი არ იქნება. მაგალითად, ციტრუსი, თხილი, ჩაი. ახლა აქ უკვე მოცვის წარმოებაც არის. ჩაის გადაყვანა ბიოწარმოებაზე არ არის რთული. ტროპიკებში ჩაის უჩნდება დაავადება და ზევიდან წამლავენ. ჩაის კულტურა ყველგან იწამლება და 2-3 დოზა სასუქებს უკეთებენ. ჩვენთან ჩაის არეგულირებს კლიმატი, არ ვწამლავთ ის თითქმის ორგანულია. ნახევარზე მეტი ჩაი ბიო პროდუქტია“.

კოოპერატივმა „ნაგომარი“ 15 ჰა ჩაის პლანტაცია აღადგინა და ახლა 10 ჰა-ის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. „რაც ახლა ირგვება, იმ ჩაის მეტი საექსპორტო პოტენციალი ექნება. ჩვენ მარტო აზოტს ვამღვეთ სასუქად. აქ ასევე ტექნოლოგიური ხაზი მიმყავს, ველური მოცვი ჩამოგვაქვს სურების მთებიდან და სუფთა ბიო-მოცვის ჩაის ვაწარმოებთ. წელს ნახევარი ტონა პროდუქცია დავამზადეთ. ასევე ფეიხოსას ფხვნილს ვაწარმოებთ“ - აღნიშნავს ჩვენი რესპონდენტი კ. ნ.

„მოცვის წარმოებისათვის საუკეთესო ნიადაგურ -კლიმატური პირობებია გურიაში, ქარისგან დაცული წყალგამტარი თიხა ნიადაგებია. თან ნახევარმა ჰექტარმა მოცვმა შეიძლება ოჯახი არჩინოს. ბიო-მოცვის წარმოება მნიშვნელოვანია, რადგან მოთხოვნა საერთაშორის ბაზარზე მთელი სეზონის განმავლობაში იქნება. საქართველოდან არაბიო მოცვზე მოთხოვნა ძირითადად არის მხოლოდ საადრეო მოცვზე, მაისის ბოლოდან ივნისის ბოლომდე, ხოლო შემდეგ უკვე სხვა ქვეყნებიდან შედის ევრობაზარზე. საგვიანო მოცვის ექსპორტი საქართველოდან აღარ ხდება. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი მონოკულტურამ არ მოიცვას. ტყემალს აქვს პოტენციალი, ტყემლის არაყი უნიკალური პროდუქტია, უკრაინაში არის დიდი მოთხოვნა, ასევე შეიძლება ბიო-წაბლის გაშენება ფერდობებზე სადაც ტყეკაფია, დაახლოებით 1500ჰა -ზე. გურიაში ასევე ბიო-დაფნის წარმოება არის პერსპექტიული“ - მოცვის და სხვა კულტურების ბიოწარმოების პერსპექტივებზე თავისი მოსაზრებას ლ. ლ. გვიზიარებს.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ნაკლებობაზე და ამით გამოწვეულ პრობლემებზე საუბრობს სათბურის მეპატრონე დ. კ. „რეგიონში კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობაა, კვალიფიციური კადრები უნდა ჰყავდეს ქვეყანას, ბიოწარმოების და ექსპორტის პოტენციალი,

მაგალითად, თხილს აქვს, თუმცა თხილის მოვლა ცოტამ თუ იცის და შედეგიც დაბალია. ადგილზე უნდა იყოს სპეციალისტები, ფუნქციონირებს ანასეულის კვლევითი ცენტრი, მაგრამ ბუჩქთან ადგილზე გასვლა არის მნიშვნელოვანი. 3 სოფელს 1 აგრონომი უნდა ჰყავდეს, შესაბამისი ანაზღაურებით, ხალხმა არ იცის მოვლა, მოდიან ჩემთან და ვერ ვუთავაძებნი“.

ყველა რესპონდენტი ხაზს უსვამს ბიოწარმოების განვითარებისათვის სასწავლო/გაცვლითი ტურებისა და ბიოწარმოების ტრენინგების ჩატარების აუცილებლობას. მათი მოსაზრებით, ორგანული სოფლის მეურნეობის ექსპერტმა უნდა განსაზღვროს, შეიძლება თუ არა ამა თუ იმ ჯიშის წარმოება. უნდა მოხდეს ჯიშების გამოცდა - გამოიცადოს, თუ რომელი ჯიში შეიძლება იწარმოებოდეს ბიომეთოდით. უნდა შეირჩეს გამძლე ჯიშები. კენკრის ფართობის შექმნიდან 2-3 წლის განმავლობაში ფერმერს ადგილზე უნდა უტარდებოდეს საკონსულტაციო მომსახურება და ტრენინგები, სხვა შემთხვევაში ფერმერს ვერ ექნება საკმარისი ცოდნა ბიო პროდუქციის საწარმოებლად.

რესპონდენტ ა. მ.-ს მიაჩნია, რომ უნდა დაჩქარდეს ექსტენციის სამსახურის ჩამოყალიბება - „ექსტენციის სტრატეგია 2018-2020 - ით“ გათვალისწინებულია მეწარმეებისათვის რეალურ მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიწოდება, რაც უკავშირდება სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს - ინკლუზიურობას. ექსტენციის სამსახურში დარგობრივ ექსპერტებთან ერთად უნდა შევიდნენ ორგანული სოფლის მეურნეობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებიც. ასევე რეგიონალურ საკონსულტაციო ორგანიზაციებში (ექსტენციის სამსახური; ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციები) საჭიროა შეიქმნას მცირე და საშუალო საწარმოთა სერვის-ცენტრი, რომელიც, სხვა საქმიანობებთან ერთად, ექსპორტზე ორიენტირებულ მწარმოებლებს და მწარმოებელთა ჯგუფებს ბიოპროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანაში დაეხმარება.

პროდუქციის ექსპორტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ადგილობრივი ფერმერების საექსპორტო გამოცდილების არქონა წარმოადგენს. ფერმერისათვის რთულია საექსპორტო პროდუქციის მომზადება, მისთვის სასურველი სარეალიზაციო სახის მიცემა, ასევე ბაზრის შესწავლა და სარეალიზაციო არხების მოძიება, იმის დადგენა თუ სად არის მოთხოვნა მათ პროდუქციაზე. კავშირების დამყარება ექსპორტიორ კომპანიებთან ან უშუალოდ პროდუქციის რეალიზატორებთან. ასევე თანმხლები დოკუმენტაციის მომზადება და სხვა.

რეგიონში საჭიროა მოქმედებდეს ექსპორტის ხელშემწყობი საკონსულტაციო მომსახურეობა, მეურნეობები ფინანსურად თავიდან უნდა დაიგეგმოს. მოეწყოს ორგანული პროდუქციის ჩაბარების ერთიანი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, რომლის საშუალებით წარმოებული პროდუქცია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სარეალიზაციო ფორმით დამზადდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩაის ოცდაორი მეწარმე უკვე მზად არის, რომ გაერთიანდნენ და ერთი ბრენდის ქვეშ აწარმოონ თავიანთი პროდუქცია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ჩვენი რესპონდენტები ამახვილებენ ყურადღებას, არის სასერტიფიკაციო ხარჯების თანადაფინანსების აუცილებლობა, რადგან ბიოსერტიფიცირება მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული და ბევრი მეწარმისათვის არ არის ხელმისაწვდომი. „ბიომწარმოებელთა კომპლექსური დახმარება უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან, უნდა მოიცავდეს ბიოსერტიფიცირების თანადაფინანსებას, სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებს, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლება - როგორც პირველადი, ისე მეორადი წარმოებისას. ბიომეწარმე უნდა მოიხსნას მიწის ყოველგვარი გადასახადიდან. მე 10 წლის წინ ვიყავი თურქეთში იქ ორგანული თხილის მწარმოებლებს სახელმწიფო ყოველ 1კგ-ზე 1 დოლარის დოტაციას უკეთებდნენ. ასევე განთავისუფლებულები არიან მიწის გადასახადიდან“ - ამბობს ჩვენი რესპონდენტი ა. ღ.

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იმ საპილოტე რეგიონებს შორის არის, რომელთაც სხვადასხვა საგრანტო პროგრამა ეხება და ასევე, რაჭა-ლეჩხუმთან ერთად, წარმოადგენს ექსტენციის სტრატეგიის განხორციელების საპილოტე რეგიონს. ცენტრალური ხელისუფლებისა და დონორების მხრიდან გაზრდილი ინტერესი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ბიოწარმოების განვითარების სტიმულირებისათვის უნდა გამოიყენოს.

რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014 – 2021 წლებში, რომელიც ხელმისაწვდომია გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე, მომზადდა 2014 წელს და მისი მოქმედების ვადა მალე ამოიწურება. ახალი სტრატეგიის მომზადებისას სასურველია, გათვალისწინებულ იქნას ბიოწარმოების განვითარების წახალისება, როგორც დამატებითი ღირებულების მქონე ნიშპროდუქციის ხელშეწყობა, რომელსაც ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირების მაღალი პოტენციალი გააჩნია.

ექსტენციის სტრატეგიის განხორციელება ორ ეტაპად იგეგმება. პირველ ეტაპზე განისაზღვრა ორი საპილოტე რეგიონი (რაჭა-ლეჩხუმი და გურია), მეორე ეტაპზე უკვე სხვა რეგიონებიც ჩაერთვებიან. შესაბამისად, საპილოტე რეგიონების ექსტენციის ცენტრებში დანერგილი პრაქტიკა შემდგომში უკვე სხვა რეგიონებში გავრცელდება. ამდენად, საპილოტე რეგიონებში ჩამოყალიბებული ექსტენციის სამსახურები მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მოთხოვნილებებს, ამასთან, მიიღონ კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურება ბიოწარმოების განვითარების საკითხებზე.

მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე ბიოპროდუქციის წარმოება და ევროკავშირის ბაზარზე მისი გატანა სახელმწიფოს მხრივ მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს, თუმცა, ნამდვილად ღირს, რადგან ეს გლობალურ ეკონომიკაში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირების ერთ-ერთ რეალურ გზას წარმოადგენს.

რეკომენდაციები

- გურიის რეგიონის ახალი სტრატეგიის პრიორიტეტის ნაწილში გასათვალისწინებელია ბიოწარმოების განვითარების წახალისების კონკრეტული მასტიმულირებელი პროგრამები.
- მიმდინარე პროგრამების (ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ და სხვ.) შესაძლებლობები გამოყენებულ იქნას ბიოწარმოების განსავითარებლად; აღნიშნულ პროგრამებში უნდა შევიდეს ბიოწარმოების განვითარების კომპონენტი, რომლითაც მოხდება ბიოწარმოებაზე გადასვლის პერიოდში სასერტიფიკაციო და სხვა ხარჯების (ბიოექსტენცია, ბიოსასუქები და მცენარეთა დაცვის ბიოსაშუალებები) თანადაფინანსება გარდამავალ პერიოდში, ბიოპროდუქციის სრული სასაქონლო ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა და ასევე ბიოპროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის შექმნა;
- რეგიონში საკონსულტაციო მომსახურების გაფართოებისათვისა და ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელია ექსტენციის სახელმწიფო სამსახურისა და კერძო საკონსულტაციო მომსახურების მომწოდებლების ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა. რისთვისაც რეგიონში არსებულ კერძო საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობების სფეროებსა და მათ შესაძლებლობებზე უნდა მომზადდეს ანალიტიკური

დოკუმენტი და შემუშავდეს კერძო მომწოდებლების სახელმწიფო ექსტენციის სამსახურთან კოორდინაციის მექანიზმები.

- ექსტენციაში კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ხელი შეეწყოს კერძო საკონსულტაციო სამსახურების შექმნას და ექსპერტების გადამზადებას რომლებიც ექსპერტულ დახმარებას გასწევენ ბიოპროდუქტის შექმნისა და რეალიზაციის სასაქონლო ჯაჭვის ყველა მონაკვეთზე
- მოეწყოს საპილოტე ნაკვეთები, სადაც მოხდება ადგილობრივ ნიადაგურ/კლიმატურ პირობებში ორგანული წარმოებისათვის მეტი პოტენციალის მქონე კონკრეტულ ჯიშებს შერჩევა;
- შემუშავდეს ხელშემწყობი პროგრამები კომერციული ექსპორტიორი კომპანიებისათვის ლოგისტიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც ბიომწარმეებს დაეხმარებიან: ა) საექსპორტო პროდუქციის მომზადებაში (ბრენდინგი, ეტიკეტირება, შეფუთვა); ბ) ბაზარზე შესვლის სტრატეგიის შემუშავებასა და სარეალიზაციო არხების მოძიებაში; გ) საექსპორტო პროდუქციის თანმხლები დოკუმენტაციის მომზადებასა და ექსპორტის პროცესის ლოჯისტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ევროკავშირისა და FAO-ს მხარდაჭერით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის განახლებული სამუშაო დოკუმენტი პარტნიორებთან ერთად განიხილა - [u](#)
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №200 „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4838500?publication=0>
- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია - <http://guria.gov.ge/geo/static/209>
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №620 „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5012388?publication=0>

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ძირითადი
გამოწვევები, ახალი საწარმოო ტექნოლოგიებისა და ონლაინ სამომხმარებლო ბაზრების
ხელმისაწვდომობა და სამომავლო პერსპექტივები**

გურიის აგრობიზნესცენტრი

თამარ ხომერიკი, გურიის აგრობიზნესცენტრის დირექტორი

შესავალი

დღეისათვის მსოფლიოში საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის და ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. შესაბამისად, ყოველდღიურად უფრო მეტი საწარმო ცდილობს არსებული ვითარების გაანალიზებას და შესაძლებლობების გამოყენებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების საშუალო და მცირე ფერმერულ მეურნეობებში დანერგვას, რადგან საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 95% სწორედ მცირე და საშუალო ფერმერებზე მოდის. ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სიღარიბესთან ბრძოლისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესების საქმეში.

სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობას შემდეგ შეფასებას აძლევს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია - ციფრული სოფლის მეურნეობა შექმნის სისტემებს, რომლებიც არიან მაღალპროდუქტიული, წინასწარ გათვლადი და ადაპტირებადი ისეთ ცვლილებებთან, რომლებიც კლიმატის ცვლილებითაა გამოწვეული. რაც, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს საფუძველი სურსათის უსაფრთხოების გაუმჯობესების, რენტაბელობის ზრდისა და მდგრადობის (FAO, DIGITAL TECHNOLOGIES IN AGRICULTURE AND RURAL AREAS, 2019)

2020 წლის იანვარში საქართველომ მონაწილეობა მიიღო ბერლინში გამართულ სოფლის მეურნეობის მინისტრთა მე-12 კონფერენციაში. კონფერენციის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებზე, სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ გამოწვევებსა და გადაჭრის გზებზე მსჯელობის შემდეგ, კომუნიკე შემუშავდა. 70-ზე მეტი ქვეყნის დელეგატები შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფოებმა აგრარული პოლიტიკის განსაზღვრის დროს პრიორიტეტად უნდა დასახონ კლიმატგონივრული აგრარული სექტორის განვითარება, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების მხარდაჭერა და სამართლიანი სავაჭრო პირობების უზრუნველყოფა¹⁰.

კომუნიკეში სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით ნათქვამია: ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრები ხელს შევუწყობთ ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ, სოციალურ და სამეწარმეო ინოვაციებს. წავახალისებთ და ხელს შევუწყობთ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) წვდომასა და გამოყენებას, რათა სურსათის სისტემაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე უზრუნველყოფილ იყოს დროული და ზუსტი ინფორმაციით. ვაჭრობის გაფართოებისა და რისკების უკეთესი მართვისათვის მოხდება მწარმოებლების ციფრული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, ასევე ფერმერთა წახალისება ელექტრონულ კომერციაში მონაწილეობის მისაღებად.

¹⁰ <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/11810>

თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა და სამომავლო პერსპექტივები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაამარტივა. საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის და ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იქცა. საწარმოებში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ზრდის შიდა ბაზრის ათვისების, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის, მომხმარებლის მოთხოვნილებების შესწავლის და ახალი ინვესტიციების მოძიების შესაძლებლობებს.

ონლაინ აგრო-ინფორმაციის პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოში უკვე არსებობს რამოდენიმე აპლიკაცია, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ USAID Zrda –ს მხარდაჭერით საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან ერთად შექმნილი აპლიკაცია „ აგრონავტი“.

„აგრონავტი“, მარტივი და მოქნილი ელექტრონული სისტემაა, რომელიც ფერმერს საკუთარი ნაწარმის გასაღების, ახალი ბაზრის მოძიებისა და კავშირების დამყარების საშუალებას აძლევს. ამასთან აპლიკაცია ფერმერებს აწვდის დარგის მნიშვნელოვან სტატისტიკას, ამინდის პროგნოზს, სერტიფიცირების საშუალებას, აგრონომიულ დაზღვევას და სხვა შეთავაზებებსა თუ შესაძლებლობებს. „აგრონავტი“-ს აპლიკაციას 5500-მდე დარეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს, რომლებიც გარკვეულ საწევრო გადასახადს იხდიან პლატფორმის საოპერაციო ხარჯების დასაფარად და პროექტის მდგრადი განვითარებისთვის. ფერმერები რეგულარულად აახლებენ ინფორმაციას საკუთარი პროდუქტის შესახებ და ჩართულები არიან მის გასაღებაში.

ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის საპილოტე პროექტის ფარგლებში, გურიის რეგიონის ოზურგეთის გეოგრაფიულ არეალში ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყო.

რეგიონის ძირითადი პარამეტრებია: დასახლებული პუნქტების რაოდენობა - 49, შინამეურნეობა - 8 516, მოსახლეობის რაოდენობა - 28 576 მოსახლე, ოპტიკური კაბელის საორიენტაციო სიგრძე - 150 კილომეტრი.

საპილოტე ქსელის მშენებლობის პარალელურად, მსოფლიო ბანკთან ერთად დაგეგმილია ინტერნეტიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით - ეს იქნება 1000 -მდე დასახლებული პუნქტი (მათ შორის, მაღალმთიანი სოფლები). პროექტით გათვალისწინებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განხორციელებით სარგებელს მიიღებს დაახლოებით 500000 ადამიანი¹¹.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინტერნეტიზაციის პროცესის დაწყება ადგილობრივ მწარმოებლებს საშუალებას მისცემს, ჰქონდეთ წვდომა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე: მიიღონ მეტი ინფორმაცია ახალი საწარმოო ტექნოლოგიების, მომხმარებლებთან ურთიერთობების შესახებ; დისტანციურ რეჟიმში მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში. სასწავლო პროგრამის ჩატარება და მეწარმეთა გაცნობიერება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, ერთი მხვრივ, ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეების საქმიანობის გაფართოებას და მათ შემოსავლების ზრდას და, მეორე მხვრივ, პანდემიის პირობებში ისინი შეძლებენ მოსალოდნელი უარყოფითი ეკონომიკური შედეგების შემსუბუქებას.

¹¹ <http://www.economy.ge/?page=news&nw=1586>

მაღალსიჩქარიანი ინტერნეტისა და ინტერნეტით უზრუნველყოფილი სმარტფონების ზრდასთან ერთად, მობილური აპლიკაციები და სოციალური მედია გახდება ოზურგეთის სოფლის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი.

ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს რომ ბევრი მცირე მეწარმე ციფრული უნარების არქონის გამო შეიძლება მოკლებული იქნას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებს. მოცემული პროექტის ფარგლებში ჩვენთვის საინტერესო იყო გვენახა, თუ რამდენად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები და მოგვეზადებინა რეკომენდაციები მეწარმეთა ონლაინ ტექნოლოგიებზე წვდომის გასაუმჯობესებლად.

კვლევის აქტივობები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კვლევაში მონაწილეობისათვის შევარჩიეთ 15 მცირე და საშუალო საწარმო, რომლებიც აწარმოებენ და რეალიზაციას უწევენ სოფლის მეურმოების სხვადასხვა პროდუქციას (ჩაი, თაფლი, თევზი, მესაქონლების პროდუქტები, თხილი, კენკრა, ბოსტნეული). მოვამზადეთ კითხვარი და ჩავატარეთ მეწარმეთა ონლაინ გამოკითხვები.

კვლევის შედეგების ანალიზი:

მეწარმეების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა გურიის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში: გაყიდვების შემცირება და ახალი მომხმარებლების მოძიების სირთულეები; კრიზისულ სიტუაციებში ბიზნესის მართვის გამოცდილების ნაკლებობა.

გამოკითხულ მეწარმეთა მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს სოციალური პლატფორმებით: მხოლოდ 7%-ს აქვს ვებ-გვერდი, 46% აქვს ფეისბუქ გვერდი; გამოკითხულ მეწარმეთა 54% არ არის დარეგისტრირებული არც-ერთ ონლაინ პლატფორმაზე; ასევე მეწარმეები არ იყენებენ: „ფერმერთა ონლაინ სასწავლო პლატფორმებს“ (სადაც ფერმერები იღებენ პროფესიულ კონსულტაციებს, ხდება ონლაინ ღონისძიებების წარმართვა), მარკეტინგულ ონლაინ პლატფორმებს და ონლაინ მარკეტინგულ საინფორმაციო სისტემებს.

მეწარმეებისთვის ცნობილია პროდუქციის ონლაინ შეკვეთებით რეალიზაციის შესაძლებლობა, თუმცა მათ 74%-ს არ უსარგებლია ონლაინ გაყიდვებით. გამოკითხულ მეწარმეთა 20%-მა რამდენჯერმე ისარგებლა ონლაინ სივრცით საქმიანობის რეკლამირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მეწარმეთა 86%-ს პროდუქციის რეალიზებისა და პოპულარიზაციის მიზნით სურს უფრო აქტიურად გამოიყენონ ონლაინ რესურსები. საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიღებისათვის, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ინფორმაციით გამოკითხულ მეწარმეთა 67% საკმაოდ ხშირად სარგებლობს.

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (88%) მნიშვნელოვნად თვლის თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროებას პროდუქციის რეკლამირების, ინფორმაციის მიღების, ბაზრის შესწავლის, მომხმარებლებთან ურთიერთობის და პროდუქციის გასაღების მიზნით. ამასთან, მეწარმეთა (92%) აზრით, ონლაინ ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება.

მეწარმეთა 94% ხედავს საჭიროებას და აქვს სურვილი მიიღოს ახალი ცოდნა და უნარები ონლაინ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. მათი სურვილია ჩატარდეს სპეციალური ტრენინგ პროგრამები დამწყები და მოქმედი მეწარმეებისათვის.

დასკვნები

- ოზურგეთის რაიონში ბიზნესის განვითარებისათვის მთავარ გამოწვევას ციფრული და სამეწარმეო უნარების მქონე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ადგილზე წარმოებული პროდუქტის არასაკმარისი ცნობადობა და მომხმარებლის ინფორმირებულობის დაბალი დონე წარმოადგენს.
- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ერთ-ერთი პრობლემის - შემცირებული გაყიდვების გამოსწორების და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია, რომ მეწარმეებმა შეისწავლონ და ეფექტურად გამოიყენონ ონლაინ სამეწარმეო და მარკეტინგული ტექნოლოგიები.
- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები მზად არიან, შეისწავლონ და წარმოებაში დანერგონ თანამედროვე სამეწარმეო და მარკეტინგული ტექნოლოგიები, რაც ბიზნესის სწორი და ეფექტური მართვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

რეკომენდაციები

1. **თანამედროვე ონლაინ რესურსების გამოყენების შესახებ ცოდნის დონის ზრდა** - მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის შემუშავდეს ციფრული უნარებისა და ტექნოლოგიების სასწავლო პროგრამები პროფესიული სასწავლებლის რესურსების მონაწილეობით. ასევე პროცესში ჩაერთოს ადგილობრივი თვითმმართველობა, სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის და რეგიონალური ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების სპეციალისტები.
ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდეს მობილური აპლიკაციები, რაც ფერმერს მის მიერ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის, ახალ ბაზარზე გასვლისა და დაკავშირების საშუალებას მისცემს.
2. **ადგილობრივი მწარმოებლების მხარდამჭერა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით** - მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ამოქმედდეს გადამამუშავებელი და დამაფასოებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების ხელშეწყობი პროექტები.
3. **თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სფეროში მომსახურების ზრდა** - რეგიონალურ საკონსულტაციო ორგანიზაციებში (ექსტენციის სამსახური; ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციები) შეიქმნას მცირე და საშუალო საწარმოთა სერვის ცენტრი. ხელი შეეწყოს ციფრული ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების ქსელის ჩამოყალიბებას და მასში სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა ჩართვას

გამოყენებული ლიტერატურა

- გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის <http://guria.gov.ge/res/docs/2014072514140650315.pdf>;
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის; <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45>;
- ციფრული ეკონომიკა - კვლევების გეგმა <https://btu.edu.ge/media/1001285/2018/08/31/09385a475f4fa3c6c39f4ff841a3d708.pdf>;
- GFFA 2020 | Berlin Agriculture Ministers' Conference - <https://www.gffa-berlin.de/en/gffa-2020/berliner-agrarministerkonferenz-2020/>.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ენერგოეფექტურ და ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებზე ინფორმირებისა და ხელმისაწვდომობის შეფასება თეთრიწყაროსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში

ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
ნანა ფიროსმანაშვილი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის აღმასრულებელი
დირექტორი

შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი განიხილავს განახლებადი ენერჯისა და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების როლს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და შენახვა-შეფუთვის პროცესებში და საქართველოს ორი რეგიონის, კახეთისა (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) და ქვემო ქართლის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) მაგალითზე აფასებს აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას.

ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების პირობებში მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სურსათის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება და წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ამაღლება. ამასთან კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის შედეგად შექმნილმა კრიზისმა კიდევ მეტად გაზარდა ადგილობრივი წარმოებისა და სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობა.

“სასურსათო უსაფრთხოება”, როგორც ცნება, ფართო სპექტრს მოიცავს. პირველად აღნიშნული ტერმინი 1970-იანი წლებში გაჟღერდა და მას შემდეგ მისი შინაარსი რამდენჯერმე შეიცვალა დღესდღეობით მას გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) შემდეგნაირად განმარტავს: “სასურსათო უსაფრთხოება ეს არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე¹².

ქვეყნის მიერ მიღწეული სასურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხი იზომება შემდეგი ინდექსებით:

- სურსათის ადეკვატური საერთო მარაგები;
- მოსახლეობის მარაგებზე ხელმისაწვდომობა
- ფინანსური და სოციალური მდგრადობა;
- მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სასურსათო საჭიროებები და სპეციფიკა;
- სურსათის უვნებლობის საკითხები;
- საგანგებო სიტუაციებისთვის სტრატეგიული რეზერვები;
- გარემოს დაცვა / უსაფრთხოება

ლოკალური და გლობალური გამოწვევები

კორონავირუსის პანდემიურმა გავრცელებამ კიდევ ერთხელ გამოავლინა სასურსათო სისტემების ხარვეზები და მკვეთრი უთანასწორობა რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ გამოქვეყნდა მსოფლიოს შიმშილის რუკა 2020 წლისთვის და პოსტ საბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო და უზბეკეთი მოხვდნენ იმ ქვეყნების სიაში¹³, სადაც მოსახლეობის 15-20 % შიმშილს და დაუბალანსებელი კვების კრიზისს განიცდის. მარგინალიზებულ და უღარიბეს

¹²

<http://www.bridge.org.ge/ka/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/food-security>

¹³ <https://www.wfp.org/publications/hunger-map-2020>

მოსახლეობას ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა არა მხოლოდ ვირუსმა, არამედ მასთან დაკავშირებულმა რეგიონალურმა და გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისებმა. პანდემიამ ასევე ხაზი გაუსვა მსოფლიოში არსებულ სასურსათო სისტემებში არსებულ სისუსტეებს და მოსახლეობა გლობალურ დონეზე ხვდება ახალ გამოწვევებს, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებებს დაუცველს ხდის ისეთი მომავალი გამოწვევების წინაშე როგორცაა - ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, სასურსათო დაუცველობა და პროდუქტზე გაზრდილი ფასები, მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა, ინფლაცია, კლიმატის ცვლილება და სხვა რისკები.

ეროვნული აგრარული პოლიტიკის ანალიზი და გამოწვევები

იმისთვის, რომ პოსტ-კოვიდური გაკვეთილები უკეთ იყოს შესწავლილი და შემდეგ გათვალისწინებული საჭიროა საზოგადოების ყველა სექტორის კოლექტიური ძალისხმევის მობილიზება, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღები პირების, პოლიტიკის შემქმნელების, პრაქტიკოსების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პროფესიონალების მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.

მაღალტექნოლოგიური, არასრულფასოვანი კვება ბავშვებში, მოზარდებსა და მოხუცებში ძალზე რთული და მრავალგანზომილებიანი საკითხია, რომელზეც გავლენას ახდენს მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა სიღარიბე, სასურსათო პროდუქტების არაადეკვატური მოხმარება, დეფიციტი სურსათზე, მაღალი ფასები, ამდენად ძალზედ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ქვეყნის ეროვნული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ამაღლება და ამისთვის მულტისექტორული და მრავალმხრივი გადაწყვეტილებების მიღება. მხოლოდ ერთი სექტორი, ან ერთი ორგანიზაცია ან ერთი რეგიონი ვერ გაუმკლავდება ამ პრობლემებს. არასრულფასოვანი კვების მოგვარებასა და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სურსათის წარმოების, გადამამუშავებისა და შენახვა-შეფუთვის პრაქტიკულად ყველა ეტაპზე მოხდეს განახლებადი ენერჯების დანერგვა.

აღსანიშნავია რომ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად იყენებენ „ორმაგი დანიშნულების მზის მეურნეობის“ კონცეფციას, როდესაც ხდება მზის პანელების ქვეშ არსებული ფართობების კულტივაცია და წლის განმავლობაში რამდენიმე მოსავლის მიღება. ასეთ ფართობებზე მზის ენერჯის მიღებასთან ერთად მშვენივრად იზრდება მოსავალი.

ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია გეგმავს ონლაინ სემინარების და ვებინარების ორგანიზებას სადაც დეტალურად იქნება განხილული განახლებადი ენერჯიების სოფლის მეურნეობაში ინტეგრირების საკითხები. ონლაინ სწავლებაში ვგეგმავთ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობას.

ონლაინ კურსების შესამუშავებლად ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო თეორიწყაროსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ენერგოეფექტურ და ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებზე ინფორმირებისა და ხელმისაწვდომობის შეფასება. გარდა ამისა, რეგიონალური სპეციფიკის გათვალისწინებით, ვგეგმავთ მრავალდარგოვანი ბიზნეს-მოდელების განხორციელებას კახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც ყველაზე მეტადაა თვალსაჩინო კლიმატის ზემოქმედების შედეგები სოფლის მეურნეობაზე და სადაც სამწუხაროდ მოსახლეობა ჯერ კიდევ ნაკლებადაა ინფორმირებული მდგრადი განვითარების, განახლებადი ენერჯიებისა და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების შესახებ.

ამდენად, ძალზედ მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეებზე იქნეს უზრუნველყოფილი ქვეყნის სურსათის მდგრადი უსაფრთხოების მიღწევა და მისი შენარჩუნება, მაგრამ ეს შეუძლებელია თანამედროვე ენერჯის (განახლებადი ენერჯიები) მიუწვდომლად. თანამედროვე, განახლებად ენერჯიებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი დიდი დაბრკოლება სურსათის მდგრადი უსაფრთხოებისათვის. სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურობისა და

საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებებზე მიუთითებს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკური დოკუმენტების არ არსებობაც. „საქართველოს სოფლის განვითარების-სტრატეგია 2017-2020-ში“ სახელმწიფო პოლიტიკის კომპლექსური ხედვა არ არსებობს, მასში არაფერია ნახსენები განახლებადი ენერჯების, ენერგოდამზოგავი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ინვეტირებული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და განვითარების შესახებ¹⁴.

ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიაში 2021 – 2027 წლებისთვის განახლებადი ენერჯებისა და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების შესაძლებლობების მხარდაჭერა მხოლოდ კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის კუთხით მოიაზრება, რაც ნამდვილად არ ნიშნავს მათ ინტეგრირებას სოფლად და სოფლის მეურნეობაში¹⁵.

განახლებადი ენერჯის წყაროები და საერთაშორისო პრაქტიკა

განახლებადი ენერჯია არის ენერჯია, რომელიც მოდის ბუნებრივი წყაროებიდან, როგორცაა მზის სინათლე, ქარი, წვიმა, ზღვის ტალღის ენერჯია, გეოთერმული ენერჯია, რომელთა განახლებაც ბუნებრივად ხდება. დღეს მსოფლიოში გლობალური ენერჯის მოხმარებაში დაახლოებით 18% მოდის განახლებად ენერჯიაზე, 13% მოდის ტრადიციულ ბიომასაზე, რომელიც ძირითადად გამოიყენება გათბობისთვის და 3% ჰიდროელექტროსადგურებზე. სხვა განახლებადი ენერჯის წყაროები: მცირე ჰიდროელექტროსადგურები, ქარი, მზე, გეოთერმული და ბიოსაწვავი შეადგენს დაახლოებით 2.4%-ს და ძალიან სწრაფად იზრდება მათზე მოთხოვნა. განახლებადი ენერჯის წილი ელექტროენერჯის წარმოებაში დაახლოებით 18%-ია, გლობალური ელექტროენერჯის 15% მოდის ჰიდროელექტროსადგურებზე, ქარის განახლებადი ენერჯია შეადგენს 3.4%. და ყოველწლიურად 30% -ით იზრდება. 2019 წელს მსოფლიოში დამონტაჟებულმა ქარის ელ. ენერჯის სიმძლავრეებმა შეადგინა 157,900 მეგავატი და ის ფართოდ გამოიყენება ევროპაში, აზიასა და შეერთებულ შტატებში. მზის ფოტოვოლტატური ელემენტების წლიურმა წარმოებამ 2018 წელს - 6,900 მეგავატს მიაღწია, ხოლო ფოტოელექტრული (PV) ელექტროსადგურების გავრცელება ყველაზე მაღალია გერმანიასა და ესპანეთში. თანამედროვე მსოფლიო იცნობს განახლებადი ენერჯების შემდეგ ტიპებს:

- ქარის ენერჯია
- ჰიდროენერჯეტიკა (მცირე და დიდი ჰიდროენერჯეტიკა)
- მზის
- ბიომასა (ბიოგაზი, ბიო-ეთანოლი, ბიოდიზელი)
- გეოთერმული
- წყალბადის საწვავი

ბიოსაწვავის ენერჯის გამოიყენება ხელს შეუწყობს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობას, წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდისა და პროდუქტის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე, რაც თავის მხრივ გაზრდის ადგილობრივ სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართულ პირთა შემოსავლებს და სოფლად დასაქმებას.

ძირითადი ბიოსაწვავია ბიო-ეთანოლი, ბიოდიზელი და ბიოგაზი. ბიოდიზელი წარმოადგენს ბუნებრივი, განახლებადი წყაროებისგან დამზადებულ საწვავს, როგორცაა ახალი ან გამოყენებული მცენარეული ზეთები და ცხოველური ცხიმები დიზელის ძრავისთვის. ბიოდიზელს აქვს ფიზიკური თვისებები, რომელიც ძალიან ჰგავს ნავთობიდან მიღებულ დიზელის საწვავს და მნიშვნელოვნად

¹⁴ <http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/GE.pdf>

¹⁵ <http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/GE.pdf>

ამცირებს ემისიებს. ბიოენერჯის ერთ-ერთი გავრცელებული წყაროა - ბიო-ეთანოლი, რომელიც მზადდება მარტივი შაქრების (გლუკოზის, ცელულოზის, სახამებლის) დადუღებით და გამოხდით. მისი წარმოება შესაძლებელია ნებისმიერი ბიოლოგიური მასალისგან, რომელიც შეიცავს შაქარს ან სახამებელს მნიშვნელოვანი რაოდენობით. ასევე ბიოგაზი წარმოადგენს ანაერობული ბაქტერიების ბიომასის დაშლის პროდუქტს (ჟანგბადის არარსებობის შემთხვევაში), რომელიც შედგება მეთანისგან. ბიოგაზის საწარმოებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა ნარჩენები, მაგალითად ფრინველის ფერმიდან სხვადასხვა მეორადი პროდუქტები, ნაკელი და სხვ.. სოფლის მეურნეობაში ბიოგაზი შეიძლება გამოყენებულ იქნას გათბობის ან ელექტროენერჯის წარმოებისთვის, რაც მნიშვნელოვანია ცირკულარული ეკონომიკის და უნარჩუნო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველოში ძალზე დიდი რესურსი გაგვაჩნია გეოთერმული ენერჯის სახით, რომელსაც შეუძლია წელიწადში დაახლოებით 800 მეგავატი ენერჯის გამომუშავება. ენერჯის გეოთერმული წარმოება ხდება ბუნებრივი გზით წარმოქმნილი ორთქლისა და ცხელი წყლისგან და მიღებული ცხელი წყალი შეიძლება გამოყენებული იქნეს უშუალოდ შენობების, ფერმების და სათბურების გასათბობად.

სამიზნე რეგიონებში განახლებადი ენერჯიების და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება

ქვემო ქართლი მდიდარია წიაღისეული რესურსებით, რომელთა პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ არის ათვისებული. რეგიონში შესაძლებელია ქარის, მზის და ბიოგაზის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება. სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლში მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედარებით დადებითი დინამიკაა, რაც ნიშნავს რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, რეგიონში მზარდი მოსახლეობის სოციალური ინფრასტრუქტურით, სოციალური მომსახურებით და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის გამოწვევები არსებობს.

ამ პირობებში მნიშვნელოვანია ალტერნატიული და განახლებადი ენერგორესურსების შესაძლებლობების განვითარება და გამოყენება. კახეთი საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით არ არის მდიდარი ალტერნატიული და განახლებადი ენერგორესურსებით. კახეთიც და ქვემოქართლიც მოქცეულია ქარის დაბალსიჩქარიან ზონაში. რეგიონებში ქარის ენერჯის გამოყენებისთვის შესაბამისი მხოლოდ ორი მონაკვეთი არსებობს: ალაზნის ველი, რომელიც ქარის რესურსის ეფექტური გამოყენების ზონას მიეკუთვნება და ილტოს ზეგანი, რომლის პოტენციალიც შედარებით შეზღუდულია. კახეთს მზის ენერჯის (წელიწადში 270 დღე მზიანია) გამოყენების პოტენციალი აქვს. თუმცა მნიშვნელოვანი მაინც ჰიდრორესურსებია, რომლის საფუძველზეც რეგიონებში 15-მდე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაა დაგეგმილი, ხოლო 4 სადგურის მშენებლობა კახეთში უკვე მიმდინარეობს.

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ალტერნატიული და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას რაც ხელს შეუწყობს მდგრადი სოფლის მეურნეობის პრინციპების დანერგვას, ბიოლოგიური და ეკოლოგიური პროცესების (როგორცაა სასურსათო ციკლი, აზოტის ფიქსაცია, ნიადაგის რეგენერაცია) წარმოების პროცესებში ინტეგრირებას; ემისიების და სასურსათო ნარჩენების მინიმიზაციას, რაც ზიანს აყენებს გარემოს, ფერმერებისა და მომხმარებლების ჯანმრთელობას.

დასკვნა

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში არსებული ენერგო დეფიციტი, ასევე მაღალია მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგები და სათანადოდ არ არის განვითარებული მალეფუჭადი პროდუქტების შემნახველი ინფრასტრუქტურა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს.

სამიზნე მუნიციპალიტეტების სოფლის მეურნეობის სექტორში ჯერ კიდევ არასაკმარისადაა გამოყენებული ალტერნატიული ენერჯის წყაროები, ვინაიდან სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის

მწარმოებლები განახლებად ენერჯიზე არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას - რომ ეს არის იაფი, არა ამოწურვადი, და ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის წყაროები.

აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მზის კოლექტორებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რომელთა მოხმარებაც მხოლოდ ხილის წარმოებითა და ჩირის დამზადებით არ შემოიფარგლება. მზის ენერჯის წყაროები აგრეთვე მეთევზეობის, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგებში გამოიყენება.

მნიშვნელოვანია შეიქმნას ახალი ბიზნეს-ეკონომიკური მოდელები, შესაბამისი სოციალური უსაფრთხოებითა და მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი სტანდარტით, რომლის ძირითადი მახასიათებელი იქნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც დაეფუძნება არა ტრადიციულ, მუდმივად გამვირებად არამედ განახლებად, ალტერნატიულ ენერჯის წყაროებს.

განახლებადი ენერჯიებისა და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ინტეგრირება სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობისა და მწვანე, მრავალპროფილური ტურიზმის განვითარებას.

რეკომენდაციები:

- ენერგოდამზოგავი, განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ჩატარება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ფერმერთა ცნობიერების ამაღლებას და რეგიონში გაზრდის ინტერესს აღნიშნული ტექნოლოგიების მიმართ;
- რეგიონების ინოვაციური განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულ იქნას სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება, სადაც წარმოდგენილი იქნება ენერგოეფექტური, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა;
- უნდა განხორციელდეს განახლებადი ენერჯიების პოპულარიზაციისა და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვის ხელშეწყობა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის მცირე და საშუალო ფერმერთა შემოსავლებს;
- სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას ალტერნატიული ენერგო რესურსების გამოყენება ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებში უნდა გახდეს პრიორიტეტული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის - http://gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%9331.pdf
- ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის
- http://gov.ge/files/275_38366_523465_136517.09.13%E2%80%9331.pdf?fbclid=IwAR0QYjnJnAEv4d8IfCfZ8nk4dJ3yWu2lgYv1Ugqv9Pf0EkDb9Z_14mcqs
- European Bank for Reconstruction and Development (EBRD), Climate-Smart Agriculture, Global Science Conference - [http://csa2015.cirad.fr/var/csa2015/storage/fckeditor/file/L3%20Towards%20Climate-smart%20Solutions\(1\).pdf](http://csa2015.cirad.fr/var/csa2015/storage/fckeditor/file/L3%20Towards%20Climate-smart%20Solutions(1).pdf)
- FAO's Energy-Smart Food for People and Climate (ESF) Programme <http://www.fao.org/energy/home/en/>
- Konrad-Adenauer-Stiftung, SMEs and Small Farms in Agribusiness in the BSEC region - http://www.kas.de/wf/doc/kas_43521-1522-2-30.pdf?151202144824

შავი ზღვის სანაპირო ზონაში სარეწაო ობიექტების ჰაბიტატების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და თევზჭერის საკითხები

ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
მანანა დევიძე. ფონდ „კავკასიის ეკოლოგიის“ დირექტორი

შესავალი

გადაჭარბებული თევზჭერა, დაბინძურებული წყლის რესურსები და საზღვაო სივრცე, ინვაზიური სახეობების ინტროდუქცია, კლიმატის გლობალური ცვლილება და გარემოს სხვა დამაზიანებელი ანთროპოგენული ზემოქმედებები არის თევზის მარაგისა და სახეობრივი მრავალფეროვნების შემცირების მიზეზი, როგორც ზღვებსა და ოკეანეებში, ასევე კონტინენტურ წყლებში. დედამიწაზე მიმდინარე პროცესები აისახება საქართველოს საზღვაო აკვატორიაზეც და საქართველოს კონტინენტურ წყლებშიც.

ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებულია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის სარეწაო ობიექტების ბიომრავალფეროვნება, ევტროფიკაციის მოვლენები, სარეწაო თევზის მარაგი და თევზჭერა, მეთევზეობისა და აკვაკულტურების განვითარების პერსპექტივები და სავაჭრო პოტენციალი, სატბორე მეურნეობების ახალი კანონდებლობა, წყლის ბიორესურსების გამოყენება ასოცირების შეთანხმებით აღებული მდგრადი რეწვის ვალდებულებების ჭრილში.

ნაშრომში სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია ქვეყანაში თევზის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა და თევზმეურნეობების განვითარების პრობლემები და შესაძლებლობები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა თევზის პროდუქტის წარმოებისა და მოსახლეობის თევზით უზრუნველყოფისათვის.

ასევე განხილულია „აკვაკულტურის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ეხება როგორც მეთევზე ფერმერთა კოოპერატივების ისე სატბორე ინდუსტრიაში ჩართული კერძო პირებისათვის გათვალისწინებულ შეღავათებს; ნებართვების გაცემის პროცედურებს; და გარემო პირობებთან სატბორე მეურნეობების მოწყობის შეთავსებადობის განმსაზღვრელ პროცედურებს. მოცემულ ნაშრომში მეთევზეობის განვითარების საკითხები განხილულია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესაბამისი მუხლების შესრულების ჭრილში, კერძოდ კი საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის ვალდებულებათა შესრულების კუთხით. ნაშრომში წარმოადგენილია რეკომენდაციები მეთევზეობის განვითარების გასაუმჯობესებლად.

შავი ზღვის სანაპირო ზონის სარეწაო ობიექტების ბიომრავალფეროვნება

შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების თავისებურება გამომდინარეობს თავად ზღვის უნიკალურობიდან, რამდენადაც ის ნახევრად ჩაკეტილი ევროპაში ერთადერთი კონტინენტური ზღვაა მრავალი ჩამდინარე მდინარეებით. შავი ზღვა შედარებით ღარიბია სახეობებით, რაც ძირითადად გამოწვეულია სასოცოცხლოდ ვარგისი სივრცის ნაკლებობით, ტემპერატურისა და მარილიანობის კონტრასტით მიმდებარე წყალსატევებთან. რთულ და შედარებით იზოლირებულ პირობებში განვითარებამ შავი ზღვის სახეობებში სპეციფიური ადაპტაციების ჩამოყალიბება გამოიწვია.

2002 წლის მონაცემებით შავ ზღვაში გავრცელებულია თევზის 171 სახეობა. შავი ზღვის თევზებიდან განსაკუთრებული საფრთხის წინაშე არიან ზუთხისნაირთა რიგის

წარმომადგენლები. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის წითელი ნუსხის მიხედვით (IUCN Red List) გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე იმყოფებიან:

რუსული ზუთხი (*Acipenser gueldenstaedtii*), ტარაღანა (*Acipenser stellatus*), ფორონჯი (*Acipenser sturio*), ფორეჯი (*Acipenser nudiiventris*), სვია (*Huso huso*) და სპარსული ზუთხი (*Acipenser persicus*). როგორც მოწველადი სახეობა, საერთაშორისო წითელ ნუსხაში შეტანილია ჯარღალა (*Acipenser ruthenus*). საერთაშორისო წითელ ნუსხაში აღნიშნულია ბენტოსის მნიშვნელოვანი სახეობის, კამბალას პოპულაციის კლების ტენდენცია. შავი ზღვის წითელ წიგნში შეტანილია სარღანი (*Belone belone euxini*) ხონთქარა (ზარაბული) (*Mullus barbatus*), როგორც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები. საქართველოს წითელ ნუსხაში ზუთხისნაირების გარდა შეტანილია შავი ზღვის ქაშაყი (*Alosa pontica*).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთელ სანაპირო ზოლზე ჩასატარებელია იხტიოფაუნის სახეობების ინვენტარიზაცია, დასადგენია საკვანძო სახეობების რიცხოვნობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარეწაო სახეობების მონიტორინგი და მისი შედეგების გათვალისწინებით მონაცემთა ბაზის შექმნა, რათა შესაძლებელი გახდეს სახეობათა მდგომარეობის შეფასება. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ადამიანის საქმიანობამ და დაბინძურებულმა მდინარეებმა შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. პოპულაციები საგრძნობლად შემცირდა არამკვიდრი ორგანიზმების შემოჭრის, გადამეტებული თევზჭერისა და დაბინძურების გამო.

სანაპირო ზონისა და პალეოსტომის ევტროფიკაციის მოვლენები და შედეგები იხტიოფაუნაზე

ევტროფიკაცია წყლის ეკოსისტემებში მიმდინარე რთული ჰიდრობიოლოგიური პროცესია, რომლის ზემოქმედება უარყოფითად აისახება ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზე (მეთევზეობა, მარიკულტურები, ეკოტურიზმი) და კლიმატის ცვლილებებზე, რამდენადაც ევტროფიკაციის მოვლენებს თან ახლავს ჟანგბადის დიდი რაოდენობით მოხმარება და ატმოსფეროში ნახშირბადის შემცველი გაზების დიდი რაოდენობით გამოყოფა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ევტროფიკაციის მოვლენები ზღვების სანაპირო ზონებში, რამდენადაც ევტროფირება შეიძლება გავრცელდეს ზღვის აკვატორიის დიდ ნაწილზე და გამოიწვიოს იხტიოფაუნის განადგურება. ამ მიმართებით საქართველოს შავი ზღვის ფოთი-პალეოსტომის მონაკვეთი ყურადსაღებია, რამდენადაც აქ ჭაობებისა და ევტროფული წყალსატევების საკმაოდ დიდი ფართობებია, რამაც უკვე გამოიწვია ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი შემცირება. მაგალითისათვის თევზების სახეობრივი შემადგენლობა პალეოსტომში შემცირდა 39 სახეობიდან 5 სახეობამდე. დაბინძურებული და ევტროფირებული წყალსატევები, ტოქსიკური წყალმცენარეების “აყვავილების” შემთხვევაში, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ადგილობრივი იხტიოფაუნისათვის და გადამფრენი ორნითოფაუნისათვის.

ამასთან ერთად ევტროფირებული წყალსატევების სწორი მართვის პირობებში შესაძლებელია მათში ევტროფიკაციის ხარისხის შემცირება და მათი თევზმეურნეობებისათვის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლების გაზრდას. 2013 წლის ივნისში მიღებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონი გაადვილებს მეთევზეთა კოოპერატივების ჩამოყალიბებას, რაც მსოფლიოში საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ასეთი კოოპერატივების შექმნით შესაძლებელია ბევრი ევტროფული წყალსატევის ათვისება და მათი თევზმეურნეობებისათვის გამოყენება. ამისათვის ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეცეს რეკომენდაციები ევტროფული წყალსატევების გასასუფთავებლად, გაეწეს დახმარება მეთევზეთა კოოპერატივების ჩამოსაყალიბებლად და ამ წყალსატევების თევზმეურნეობებისათვის გამოსაყენებლად.

სარეწაო თევზების მარაგის შეფასება და თევზჭერა.

ეკოლოგიური ვითარების გაუარესების, აგრეთვე ზღვის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად მსოფლიო ოკეანეში კატასტროფულად მცირდება თევზის მარაგის რაოდენობა. ბრიტანელი მეცნიერების აზრით, ახლო მომავალში ზღვის პროდუქტების სერიოზული დეფიციტი წარმოიქმნება. თევზით მდიდარი აუზების 30 პროცენტის რესურსი ეკოლოგიური პრობლემებისა და ინტენსიური თევზჭერის შედეგად თითქმის სრულიად არის ამოწურული. უკანასკნელ წლებში მსოფლიო ოკეანეებში დაჭერილი თევზის საერთო მოცულობა 13 პროცენტით შემცირდა. თუ ზღვის პროდუქტების კლების ტენდენცია გაგრძელდება, ექსპერტების ვარაუდით, დაახლოებით ორმოცდაათ წელიწადში ზღვებში თევზის მარაგი თითქმის სრულად გამოილევა.

90-იანი წლების დასასრულისათვის თურქეთის ტერიტორიულ წყლებში სეინერების რაოდენობა 250-დან 350 ერთეულამდე, ხოლო ჭერილი 250 ათას ტონიდან 300 ათას ტონამდე გაიზარდა, რითაც საფრთხეში ჩავარდა ქაფშიის მარაგი შავ ზღვაში. საქართველოს სანაპიროზე არარეგულირებადი ჭერისა და დაბინძურების შედეგად შემცირდა ჭერილში სარეწაო მნიშვნელობის სახეობათა რაოდენობა რამოდენიმე ათეულიდან 4 ერთეულამდე.

2018 წელის 17 დეკემბერს საქართველოს წყლებში თევზის ზუსტი მარაგის დასადგენად თურქული სამეცნიერო გემი შემოვიდა, რომელმაც საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სარეწაო რესურსების ექსაუნდინგი ანუ დასხივება ჩაატარა. კვლევაში ქართველი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ. აკუსტიკური კვლევის შედეგად მინიმალური ცდომილებით განისაზღვრა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ თევზის რაოდენობა. ექსაუნდერის ანუ სპეციალიზებული, მვირადღირებული სამეცნიერო გემისა და ტექნიკის საშუალებით მოხდა მთელი სანაპიროს დასხივება. მანამდე საქართველოს სანაპიროზე თევზის მარაგების შეფასება ხდებოდა მათემატიკური მოდელირებით. ექსაუნდინგი არის მარაგების შეფასების პირდაპირი მეთოდი. პირდაპირი დათვლით დგინდება რამდენი ცალი თევზია, ანალიზდება ოპულაციური სტატუსი და მაღალი სიზუსტით პირდაპირ განისაზღვრება რა მდგომარეობაშია სარეწაო რესურსები და რისი პოტენციალი არსებობს.

თევზის მარაგის სწორი განსაზღვრა ხელს უწყობს კვოტირებას, სწორ სარეწაო პროგნოზირებას და ზოგადად, მეთევზეობის გეგმარებასა და მენეჯმენტს. კვლევა საქართველოში ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) პროექტის Black Sea For Fish-ის ფარგლებში უსასყიდლოდ განხორციელდა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა (ევროკავშირის, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) მხარდაჭერით) დაადგინეს შავ ზღვაში 2020-2021 წლის თევზის მოსაპოვებელი რესურსის კვოტები, მათ შორის ქაფშიის, რომელიც 109 000 ტონას შეადგენს.

FAO-ს მხარდაჭერით და უშუალო ჩართულობით განხორციელებულმა კვლევებმა, გარემოს ეროვნულ სააგენტოს პირველად მისცა საშუალება თევზის მარაგი ევროკავშირის სტანდარტების და ხმელთაშუა ზღვის კომისიის მოთხოვნების შესაბამისად განესაზღვრა. მარაგის შეფასების სრულყოფილად წარმოება ხელს შეუწყობს ქვეყანაში თევზჭერის დარგის მდგრად განვითარებას, ეკონომიკის ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. ამავე დროს

თევზის რესურსის დადგენილი რაოდენობა უზრუნველყოფს თევზის გადამამუშავებელი საწარმოების სრულ დატვირთვას.

საქართველოში მეთევზეობისა და აკვაკულტურების განვითარების პერსპექტივები და სავაჭრო პოტენციალი

აკვაკულტურა მეურნეობის ის პროგრესული მიმართულებაა, რომელსაც შესწევს უნარი უახლოეს მომავალში გადაწყვიტოს ქვეყნის თევზეული პროდუქტებით და ასევე სამედიცინო და ტექნიკური ნედლეულით უზრუნველყოფის პრობლემა. მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა მტკნარი წყლის აკვაკულტურის განვითარებას. უახლოეს ათწლეულში მოსალოდნელია თევზის ჭერილის რამდენჯერმე გადიდება ახლანდელთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არა მარტო თევზჭერის ტრადიციული მეთოდების გამოყენება, არამედ აუცილებელია წყალსატევებში თევზის მოშენებისა და წარმოების ინტენსიფიცირება უახლესი მეცნიერული მიღწევების საფუძველზე. ამ მხრივ შიდა წყალსატევებში თევზის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტია წარმოების გაძლიერების ინტეგრაციული და ინტენსიფიკაციური მეთოდების გამოყენება და თევზის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება. საქართველოში შეიძლება წარმატებით განვითარდეს მეთევზეობის (თევზმოშენების) რამდენიმე მიმართულება: ტბორული აკვაკულტურა, მტკნარი წყლის აკვაკულტურა, ინდუსტრიული აკვაკულტურა, სანავარდო აკვაკულტურა და მარიკულტურა.

სტატისტიკური ინფორმაცია აკვაკულტურის შესახებ საკმაოდ მწირია და მხოლოდ 2017 და 2018 წლებისთვის არის ხელმისაწვდომი. ეს რა თქმა უნდა არ იძლევა სექტორის დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას, თუმცა მაინც გვიქმნის ზოგად წარმოდგენას ადგილობრივი წარმოების მასშტაბების შესახებ. წარმოების უდიდეს ნაწილს ადგილი ჰქონდა კახეთსა და შიდა ქართლის რეგიონებში. ეს ძირითადად განპირობებული ამ რეგიონების სიახლოვით თბილისთან, რომელიც ქვეყანაში მთავარ სარეალიზაციო ბაზარს წარმოადგენს.

წყალსატევებში არსებულ თევზებს შორის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ცისარტყელა კალმახი. თევზის ამ სახეობას მთლიან წარმოებაში 61% უკავია. ცისარტყელა კალმახის ჯამური წარმოების 44% შიდა ქართლზე მოდის. საქართველოში წარმოებული თევზის სხვადასხვა სახეობების დივერსიფიკაციის დაბალ მაჩვენებელს და ცისარტყელა კალმახის დომინირების მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს მთის მდინარეების სიმრავლე, რაც ხელსაყრელ გარემოს ქმნის ამ სახეობის საწარმოებლად და ასევე ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნა. ცისარტყელა კალმახის შემდეგ საქართველოში ყველაზე გავრცელებული თევზია კობრი. აკვაკულტურის მთლიან წარმოებაში კობრს დაახლოებით 18% უკავია და ყველაზე ხშირად კახეთში არსებულ წყალსატევებში გვხვდება.

მსოფლიოში არსებული ტრენდები გვიჩვენებს, რომ ზღვასა და მდინარეებში დაჭერილი თევზის წილი თევზის მთლიან წარმოებაში მცირდება, ხოლო ტბორებსა და აუზებში გაშენებული თევზის წილი იზრდება. საქართველო წყლის რესურსით მდიდარი ქვეყანაა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ დარგის განსავითარებლად. არსებული რესურსების ოპტიმალური ათვისებით შესაძლებელი იქნება თევზის ფერმერული მეურნეობის მასშტაბების გაზრდა.



საქართველოს დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანიის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის (თევზის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში) მიხედვით, მტკნარი წლის აკვაკულტურის წარმოების პოტენციური სიმძლავრე წარმოადგენს 5.4 ათას ტონას წელიწადში, სატბორე მეურნეობებში წარმოებული თევზის - 47 ათას ტონას, ხელოვნურ წყალსატევებში წარმოებული თევზის - 8.9 ათას ტონას, ხოლო ტბებში წარმოებული

თევზის - 9.9 ათას ტონას. 2017-2018 წლებში დაფიქსირებული წარმოების მასშტაბები გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებული პოტენციალის მხოლოდ 6%-ის ათვისება ხდება. საქართველოში თევზის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი წელიწადში დაახლოებით 20 ათასი ტონიდან 30 ათას ტონამდე მერყეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დამატებითი ფერმერული მეურნეობების განვითარების და არსებული სიმძლავრეების სრულად ათვისების შემთხვევაში, საქართველოში წარმოებული თევზით შესაძლებელი იქნება ადგილობრივი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება და ასევე სხვა ბაზრების ათვისებაც. წარმოებასთან ერთად, მნიშვნელოვანია შევავსოთ თევზზე არსებული მოთხოვნაც.

თევზის მოხმარება საქართველოში საკმაოდ დაბალია. გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2017 წლის მონაცემების მიხედვით, თევზის საშუალო მოხმარება საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში დაახლოებით 7.83 კგ-ს შეადგენს. მსოფლიოში საშუალო მაჩვენებელი გაცილებით მაღალია და 20.5 კგ-ს შეადგენს. საქართველოში თევზის მოხმარების დაბალი მაჩვენებელი ერთის მხრივ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ქვეყანაში თევზის მოხმარების კულტურა დაბალია, მეორეს მხრივ კი ქვეყანაში არსებული სოციალურ-რეკონომიკური მდგომარეობით. აღსანიშნავია, რომ ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად თევზზე მოთხოვნა იზრდება.

ადგილობრივი მოხმარების უდიდეს ნაწილს დაკმაყოფილება იმპორტირებული თევზით ხდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით ადგილობრივი წარმოება მთლიანი მოხმარების მხოლოდ 10-15%-ის დაკმაყოფილებას ახერხებს.

2014-2020 წლებში საქართველოში ჯამურად 113 ათასი ტონა თევზის იმპორტი განხორციელდა. მათ შორის 90% გაყინულ თევზზე, ხოლო დანარჩენი 10% ცოცხალ თევზზე, ახალ ან გაციებულ თევზსა, თევზის ფილესა და თევზის სხვა ხორცზე მოდის. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ცოცხალი თევზის იმპორტის 58% განხორციელდა სომხეთიდან, 27% თურქეთიდან, ხოლო დანარჩენი 15% მსოფლიოს 16 სხვადასხვა ქვეყნიდან. ახალი ან გაციებული თევზის იმპორტი ძირითადად 2 ქვეყნიდან ხორციელდება. ეს არის ნორვეგია და თურქეთი. აღსანიშნავია, რომ თურქეთიდან იმპორტირებულ ახალ ან გაციებულ თევზს აქვს ზრდადი დინამიკა, მაშინ როცა ნორვეგიიდან იმპორტირებული ახალი ან გაციებული თევზი ყოველწლიურად იკლებს. ეს შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ნორვეგიიდან შემოსული თევზის საშუალო ღირებულება ბევრად აღემატება თურქეთიდან შემოტანილი თევზის ღირებულებას. პირველ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი (1 კგ თევზის ფასი) 2019 წლისთვის საშუალოდ 10 აშშ დოლარს უტოლდება, ხოლო მეორე შემთხვევაში - 4 აშშ დოლარს.



იმპორტი თევზების მიხედვით მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია, ზაფხულის პერიოდში შედარებით იკლებს, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ დროს ადგილობრივად წარმოებული თევზის მიწოდება იზრდება. იმპორტთან შედარებით უმნიშვნელოა ექსპორტის მაჩვენებელი. 2014-2020 წლებში საქართველოდან განხორციელდა 37 ათასი ტონა თევზის ექსპორტი, ყველაზე დიდი რაოდენობით თურქეთის მიმართულებით. ამ პერიოდის განმავლობაში ექსპორტირებული თევზის 80% წარმოადგენს ახალი, ან გაცივებულ თევზი. ექსპორტის მაჩვენებელი საკმაოდ არასტაბილურია წლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ცოცხალი ან გაცივებული თევზის ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია არა ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული თევზის, არამედ შავ ზღვაში დაჭერილი ქაფშიასა და სხვა სახეობების ექსპორტით.

საქართველოში 26 ათასზე მეტი მდინარეა, 860-მდე ტბა და 12 წყალსაცავია. გარდა ამისა, ქვეყანაში ხელოვნური წყალსატევების შექმნისუამრავი შესაძლებლობა არსებობს. საქართველოში ტბებისა და წყალსაცავების საერთო ფართობი 28 ათას ჰექტარს აღემატება. აქედან თევზის მეურნეობისათვის დაახლოებით 15 ათას ჰექტარზე მეტია გამოყენებული, ხოლო მდინარეთა საერთო სიგრძიდან (59931 კმ) - მხოლოდ 250 კმ. ტბებიდან, სადაც სამეურნეო თევზის ჭერას აწარმოებენ, აღსანიშნავია ფარავნის, სალამოს, ტაბაწყურის პალიასტომის, ინკითის და სხვა ტბები; წყალსაცავებიდან - ხრამის, თბილისის, სიონის, შაორის, ტყიბულის წყალსაცავები; მდინარეებიდან - მტკვარი, ქცია-ხრამი, ალაზანი, რიონი, ენგური, კოდორი, ბზიფი და სხვა მდინარეები. თევზის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია ტბორების მოწყობა, რაც საქართველოში 1933 წლიდან დაიწყო (სოფ. ჭაპანა, ლანჩხუთის რაიონი). მის შემდეგ შეიქმნა ნოქალაქევის, ქვემომალაკის, კაბარის, ქოლოზნის, ფოთის, კონდოლის, საგარეჯოს, სიღნაღის, ერწოს და სხვა სატბორე მეურნეობები. ხელოვნურად მოწყობილ ტბორებში კალმახის პროდუქტიულობა 50-ჯერ და გარკვეულ პირობებში 100-ჯერაც აღემატება მდინარის კალმახის პროდუქტიულობას. მრავლად არის აგრეთვე მცირე კერძო სატბორე მეურნეობებიც. საქართველოში ხელოვნურად შექმნილი ტბორების ფართობი 500 ჰექტარს აღემატება.

2019 წელს საქართველოს აკვაკულტურის მეურნეობებში წარმოებული თევზი, წინა წელთან შედარებით, 3.5 პროცენტით გაიზარდა და 2 464.7 ტონა შეადგინა. 2019 წელს თევზის წარმოების მიხედვით ლიდერობს კახეთი, რომელზეც მოდის ქვეყანაში წარმოებული თევზის 35.1 პროცენტი. სტრუქტურაში მეორე ადგილს იკავებს შიდა ქართლი - 30.3 პროცენტით, მესამე

ადგილზეა გურია - 10.1 პროცენტით, ხოლო დანარჩენ რეგიონებზე ჯამურად ქვეყანაში წარმოებული თევზის 24.4 პროცენტი მოდის.

ცნობისთვის, საქართველოში აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების საერთო ფართობი წინა წელთან შედარებით 2.1 პროცენტით გაიზარდა და 4 503.1 ჰექტარი შეადგინა.

სატბორე მეურნეობების ახალი კანონდებლობა

საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ“ კანონი კერძო ინვესტორებისთვის განვითარების აბსოლუტურად ახალ შესაძლებლობებს ქმნის. კანონში გათვალისწინებულია წამყვანი ქვეყნების საუკეთესო მაგალითები. კანონის შემუშავებაში FAO - ს ექსპერტებიც იყვნენ ჩართული. ახალი კანონით აკვაკულტურის ადგილობრივ კოოპერატივებს გარკვეული სარგებელი ეძლევათ. კანონის ინიციატორების განმარტებით, დღეს საქართველოში თევზის 22000 ტონამდე იმპორტი შემოდის, ქვეყნის რეალური შესაძლებლობა კი 30-დან 50 ათას ტონამდე თევზისა და ზღვის პროდუქტების წარმოებაა. ახალი კანონი იძლევა აკვაკულტურის დარგის სტიმულირების შესაძლებლობას. პირველ ეტაპზე მოხდება იმპორტის ჩანაცვლება, მეორე ეტაპზე კი ქართული თევზი გავა ექსპორტზე, ასევე მოხდება ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

2024 წლამდე აკვაკულტურის ინდუსტრიაში ჩართული პირები ყველა გადასახადისაგან თავისუფლდებიან. წყლის ორგანიზმების მოშენება მხოლოდ აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზეა დასაშვები. აკვაკულტურის განხორციელების უფლება პირს მიენიჭა 20 წლამდე ვადით. აკვაკულტურის საქმიანობის ნებართვის გაცემა 2024 წლიდან 200 ლარი ეღირება.

ბენეფიციარები იქნებიან მცირე და საშუალო მეწარმეები. ახალი კანონი ხელს შეუწყობს როგორც იმპორტის ჩანაცვლებას, ასევე ევროკავშირის ბაზარზე თევზის, როგორც ბიოპროდუქტის ექსპორტს, რაზეც იქ დიდი მოთხოვნა არსებობს. კანონი იძლევა შესაძლებლობას რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ განხორციელოს გრანტებისა და სოფლის მეურნეობის წამახალისებელი მცირე პროგრამები.

წყლის ორგანიზმების (თევზი, მოლუსკები, კიბოსნაირები და წყლის მცენარეები) მოშენება საქართველოში შესაბამისი კანონმდებლობით დარეგულირდება და მხოლოდ აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზე იქნება დასაშვები, რათა გარემოს არ მიადგეს ზიანი. თევზების, მოლუსკების, კიბოსნაირების და წყლის მცენარეების მოშენება ნიშნავს მათ გამრავლებას ან ორგანიზმების რეგულარულ შენახვას, კვებას, ორგანიზმების დაცვას მტაცებლებისგან ან სხვა მსგავსი ჩარევებისგან ორგანიზმების ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. მოშენება, ასევე, მოიცავს მათზე ერთი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებას.

კანონი განსაზღვრავს აკვაკულტურის განხორციელების ძირითად პრინციპებს და სპეციალური მოთხოვნებს, აგრეთვე აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესსა და ნებართვის მფლობელის ვალდებულებებს.

„აკვაკულტურის შესახებ“ კანონით დგინდება საქართველოს საზღვაო წყლებში ზონირების საფუძვლები. საზღვაო წყლებში აკვაკულტურის საქმიანობა განხორციელდება და აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა სპეციალურად გამოყოფილ ზონებში, რომლის საზღვრებს ადგენს საქართველოს მთავრობა. თუმცა კანონში აკვაკულტურების შესახებ სათანადოდ არ არის გამოკვეთილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურული ნაწილი.

წყლის ბიორესურსების გამოყენება და თევზჭერა ასოცირების შეთანხმებით აღებული მდგრადი რეწვის ვალდებულებების ჭრილში

როგორც ცნობილია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გარემოსდაცვით ნაწილში ბუნებრივი რესურსების მართვას ითვალისწინებს. ერთ-ერთი მუხლი ზღვის სარეწაო მნიშვნელობის მქონე თევზთა სახეობების დაცვაა.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები თევზის სახეობებისა და მარაგის დაცვასთან მიმართებით წყლის ჩარჩო დირექტივისა და საზღვაო სივრცის სტრატეგიის ჩარჩოს დირექტივის შესრულებას უკავშირდება. საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა მიღებულ იქნა 2008 წლის 17 ივნისს. დირექტივის მე-20 მუხლი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა საზღვაო გარემოს დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი და ამბიციურია დოკუმენტია, საჭიროა მისი გაღრმავება, რათა გაუმკლავდეს ისეთ ზეწოლებს როგორცაა ჭარბი თევჭერა და არამდგრადი თევზაობის პრაქტიკა, პლასტმასისა და ჭარბი ბიოგენების დაგროვება, წყალქვეშა ხმაური, ევტროფიკაცია და სხვა სახის დამაბინძურებლების ზემოქმედება. საზღვაო სტრატეგიის ვალდებულებათა შესრულების მიზანი არის ზღვებისა და სხვა სანაპირო მიმდებარე წყალსატევების ბიორესურსების მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მათ მდგრად გამოყენებას, რაც უნდა გათვალისწინებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობით.

შედეგები:

1. პროექტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა თევზის სახეობთა პოპულაციების საგმნობი შემცირება, როგორც შავი ზღვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ასევე ტბებსა და მდინარეებში, რაც უარყოფითად აისახება თევზების მარაგზე და ზოგადად თევზჭერაზე;
2. შეფასდა „საქართველოს კანონიაკვაკულტურების შესახებ“, რომელიც ხელს შეუწყობს სარეწაო თევზის მოშენებას საქართველოში, შეამცირებს თევზის იმპორტს და ქართველი მეწარმეებისათვის უფრო ხელმისაწვდომს გახდის შიდა ბაზარს სამომავლოდ ექსპორტზე გატანის პერსპექტივით.

დასკვნა

საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში არარეგულირებადი თევზჭერისა და მდინარეებიდან ჩამდინარე დამაბინძურებლების გამო იკვეთება თევზის მარაგისა და სახეობრივი ბიომრავალფეროვნების შემცირების ტენდენცია. მოსახლეობის მიერ მოხმარებული თევზის პროდუქტის დიდი წილი მოდის იმპორტირებულ გაყინულ პროდუქციაზე, რისი მიზეზიც არის ერთის მხრივ შავ ზღვაში ადგილობრივი თევზჭერის ტექნიკური ნაკლოვანებები და თურქულ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს ტერიტორიული წყლებიდან ხდება თევზის მარაგის დიდი რაოდენობით გატანა თურქეთში; მეორეს მხრივ, მიუხედავად კონტინენტური წყლის რესურსების დიდი ფართობებისა, ქვეყანაში თევზმეურნეობების განვითარების დონე დაბალია და ადგილობრივი თევზის მარაგის წარმოება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას. „საქართველოს კანონიაკვაკულტურის შესახებ“ კმნის ქვეყანაში თევზის წარმოების გაზრდისა და იმპორტის შემცირების პერსპექტივას, რაც მეწარმეთათვის ზრდის ადგილობრივი ბაზრის ხელმისაწვდომობას, სამომავლოდ კი შექმნის თევზის ექსპორტის შესაძლებლობას.

რეკომენდაციები გასატარებელი ღონისძიებებისათვის:

1. თევზებზე მონაცემთა ბაზის შესაქმნელად საჭიროა შავი ზღვის იხტიოფაუნის სახეობრივი შემადგენლობის ინვენტარიზაცია და თევზის სარეწაო სახეობების მონიტორინგის ჩატარება;

2. წყალსატევებზე ევტროფიკაციის შესამცირებლად ღონისძიებათა შემუშავება ამ წყალსატევების თევზმეურნეობებში გამოყენების ხელშესაწყობად.
3. საქართველოში, მიუხედავად წყლის რესურსების დიდი მარაგისა, თევზმეურნეობების განვითარებისათვის არ არის სათანადოდ გამოყენებული არც ზღვის ბიორესურსები და არც ტბორები, რისთვისაც საჭიროა სამთავრობო დონეზე სამოქმედო გეგმის შექმნა ზღვის ბიორესურსების, ბუნებრივი ტბების, ხელოვნური ტბორებისა და მდინარეების თევზმეურნეობებისათვის გამოსაყენებლად.
4. ზღვაში თევზჭერაზე რეგულაციების გამკაცრება და საქართველოს კანონში „აკვაკულტურების შესახებ“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მუხლებში ცვლილებების შეტანა.

გამოყენებული წყაროები:

- აკვაკულტურის მეურნეობებმა თევზის წარმოება გაზარდეს. <https://report.ge/economics/akvakulturis-meurneobebma-tevzis-tsarmoeba-gazardes/> 2020;
- თევზჭერა და აკვაკულტურა საქართველოში (სექტორის კვლევა); 2020. <http://eugeorgia.info/ka/article/832/tevezchera-da-akvakultura-saqartveloshi-seqtoris-kvleva/>
- მთავრობა აკვაკულტურების გააქტიურებას გეგმავს. <https://report.ge/economics/mtavroba-akvakulturis-gaaktiurebas-gegnavs/> 2020;
- მეთევზე ფერმერის სახელმძღვანელო. გარემოს ეროვნული სააგენტო, მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახური, 2015;
- შავი ზღვის ბიომრავალფეროვნება, სიტუაციის ანალიზი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტი, 2012;
- შავ ზღვაში თევზის მოპოვებაზე კვოტები განისაზღვრა. <https://report.ge/economics/shav-zghvashi-tevzis-mopovebaze-kvotebi-ganisazghvra/> 2020;
- შავიზღვის სანაპიროზე უხოური სამეცნიერო გემი დაითვლის. <https://batumelebi.netgazeti.ge/news/171858/> 2018;
- წყლის ორგანიზმების მოშენებას კანონი დაარეგულირებს. <https://report.ge/economics/tsqlis-organizmebis-moshenebas-kanoni-daaregulirebs/> 2020;
- M. Devidze. Harmful Algal Bloom Events in Georgia. VIII international Convergence on Harmful Algal Bloom. Vigo, Spain, 1998.
- საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4901055?publication=0>

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეალიზაციის ხელშეწყობა საოკუპაციო/გამყოფ ხაზთან მდებარე დასახლებებში

ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკა“

ნაირა ბეპიევი, ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკას“ თავმჯდომარე,
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

შესავალი

ჩვენი საკვლევი თემა, უპირველესად, ითვალისწინებდა საოკუპაციო-გამყოფ ხაზთან მდებარე დასახლებებში (გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ტირმნისი, ქერე, დიცი) სასოფლო სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელთა საჭიროებების შეფასებას და მათ მიერ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდაციების შემუშავებას. ამ მიზნით შევარჩიეთ რესპოდენტები სოფლებიდან: ტირმნისი, ქერე და დიცი. ვესაუბრეთ ადგილობრივ მოსახლეობას, ფერმერებს, თვითმმართველობის წარმომადგენლებს. მათ ჩავუტარეთ ონლაინ ინტერვიუება წინასწარმომზადებული კითხვარების გამოყენებით, მათთან მრავალჯერადი კომუნიკაციის შედეგად. გავეცანით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების იქ არსებულ ვითარებას, დავაკონკრეტეთ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები და შევიმუშავეთ რეკომენდაციები.

საოკუპაციო/გამყოფ ხაზთან მდებარე დასახლებებში არსებული ვითარება და გამოკითხვის შედეგები

ცხინვალის რეგიონში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საქართველომ 103 სოფელზე დაკარგა კონტროლი (მათ შორის, ახალგორის რაიონსა და მამისონის უღელტეხილზე).

ომიდან სამი წლის შემდეგ, 2011 წელს, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ცხინვალის რეგიონში ე.წ. ბორდერიზაცია (მავთულხლართების, ღობეების, ტრანშერების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების მონტაჟი) დაიწყო და ახალი საოკუპაციო ხაზი კიდევ 32 სოფელში გაივლო (ჯამში დაახლოებით 52 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეები გავლებული).

ყველაზე მძიმე ომის შედეგები იმ ქართული მოსახლეობისათვის აღმოჩნდა, რომლებიც დარჩნენ ახალგორის ოკუპირებულ ნაწილში და ასევე იმ სოფლების მოსახლეობისათვის, რომლებშიც საოკუპაციო რეჟიმმა გამყოფი ხაზები გაავლო.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგორის რაიონში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ნაწილმა საკუთარ სახლებში დარჩენა შეძლო, მათი ცხოვრება მუდმივ შიშსა და გაურკვევლობაში გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ქართული მედია მუდმივად აწარმოებს ახალგორში არსებული ვითარების მონიტორინგს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იქ მცხოვრები ქართველების უფლებებს.

ასევე მწვავედ დგას მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხი საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში. მძევლად აყვანის ინციდენტები კიდევ უფრო ამძიმებს საფრთხის განცდას რეგიონში. გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას, უსაფრთხოებასთან ერთად, ეკონომიკური ხასიათის პრობლემებიც აწუხებს. ომმა დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას. ბევრის სახნავ-სათესი ფართობი შემცირდა იმის გამო, რომ მავთულხლართები გაავლეს და თავიანთი კონტროლის ქვეშ მოაქციეს. ასევე დაიკარგა სოფლის მეურნეობის აღჭურვილობა.

მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობები, სახელმწიფო სტრუქტურები ყურადღების მიღმა არ ტოვებენ საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნებს და ცდილობენ შეუმსუბუქონ მათ მდგომარეობა, ბევრი პრობლემა კვლავაც მოსაგვარებელი რჩება.

სახელმწიფოს თანადაფინანსებით, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის:

პროგრამის „დანერგე მომავალის“ ფარგლებში, ფერმერმა, მერაბ შავაძემ, სოფელ წითელუბანში მდებარე 10 ჰექტარზე მრავალწლოვანი ბაღი გააშენა¹⁶.

„დანერგე მომავალის“ ფარგლებში, სოფელ ბერშუეთში ამირან ხოდელმა 12 ჰექტარზე ვაშლის ბაღი გააშენა¹⁷. პროექტის „დანერგე მომავალის“ ბენეფიციარმა, მამუკა მერებაშვილმა, 6 ჰა-ზე ვაშლის, ქლიავის და ატმის ბაღი გააშენა სოფელ მეჯვრისხევში¹⁸.

განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები: შიდა საუბნო გზების მოწესრიგება; სანიაღვრე არხების, გარე განათების, სკვერების მოწყობა; სასმელი წყლის სისტემის ავზების შექმნა-მონტაჟი და სხვ. შიდა ქართლის მასშტაბით, გაზიფიცირება განხორციელდა ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე 56 სოფელში (გორის - 33, ქარელის - 10, კასპის - 10, ხოლო ხაშურის - 3 სოფელი), რის შედეგადაც ბუნებრივი აირი 13 ათასამდე აბონენტს მიეწოდა¹⁹. თუმცა, აქ მცხოვრებ ფერმერებს გატარებული ღონისძიებები არასაკმარისად მიაჩნიათ.

სიტუაციას ამძაფრებს ომამდე არსებული ერთიანი ინფრასტრუქტურის მოშლაც. ასე მაგალითად, სოფელი დიცის სავარგულები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული კეხვი-ვანათის სარწყავი სისტემით ირწყვებოდა. დღეისათვის სოფელს სარწყავი წყალი მიეწოდება მექანიკური წესით მდინარე პატარა ლიახზე აშენებული არბო-დიცის სატუმბი სადგურის მეშვეობით, რომლის სიმძლავრის გაზრდის მიზნით 2017 წელს დამონტაჟდა დამატებითი საქაჩი აგრეგატი. თუმცა, წყლის მოხმარება წყლის დებეტის სიმცირემ რომ არ შეაფერხოს, სარწყავი სისტემის სამოქმედო არეალში დაწესებულია წყლით სარგებლობის გრაფიკი,

ჩვენს რესპონდენტებს სწორედ სარწყავი წყლის გრაფიკით მოხმარება მიაჩნიათ მაღალი მოსავლის მიღებისათვის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად - „ჩვენ ხილის ბაღები გვაქვს და იმას ვუვლით მთელი წლის განმავლობაში. ბაღა-ბოსტანიც გვაქვს. პამიდორი მოგვყავს. სარწყავი წყალი სიცხეებში პრობლემაა, ყველას ერთდროულად გვინდა ნაკვეთების მოვლა და არის ერთი გაუგებრობა. მაგრამ მაინც რაღაცა ოდენობა მოგვყავს. ხან კარგი მოსავალი გვაქვს პომიდვრისა და ბოსტნეულის. ხილიც კარგი მოდის. უკეთესიც შეიძლება გვქონოდა. მებოსტნეობა-მებაღეობას მუდმივად სჭირდება სარწყავი წყალი. ბოლო ხანებში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ როგორ იქნება ხვალ და ზეგ, არ ვიცით. იმათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ გადაკეტონ, როცა ძალიან პაპანაქებაა, წყალი სწორედ მაშინ არ გვყოფნის“, - ამბობს ა. შ. სოფელ ქერეს მკვიდრი.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში ბორდერიზაციის შედეგად გაიმიჯნა სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები, ტყეები, მინდვრები. ჩვენი რესპონდენტები საუბრობენ ბორდერიზაციის შედეგად შექმნილ პრობლემებზე: „იქ, სადაც მავთულხლართებია გავლებული, არავის არ

¹⁶ <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/17892>

¹⁷ <https://old.pia.youtube.com/post/180685-saokupacio-xaztan-axali-xexilis-bari-gasenda>

¹⁸ <https://www.youtube.com/watch?v=MJIcE532S4s>

¹⁹ <https://factcheck.ge/ka/story/25839-saokupatsio-zolthan-arsebul-qhvela-sophelshi-gaziphitsirebis-samushaoebi-ukve-dasrulda>

ამღვევენ მასთან მიახლოების უფლებას. მაგრამ არის სამოვრები, ტყიანი ადგილები, სადაც ძნელი გასარჩევია, სად მთავრდება „შენთვის ნებადართული“ ზღვარი და სად იწყება მათი „კუთვნილი ტერიტორია“ მითუმეტეს თუ ეს ეხება საქონელს. „იქით“ გადასული საქონლის მოსაბრუნებლად წასული ადამიანი დიდი შიშისფეთებით მისდევს თავის პირუტყვს მოსაბრუნებლად და ეს ხშირად ძალიან ძვირიც უჯდება. პირუტყვს იჭერენ „საზღვრის დარღვევის“ გამო. შენ აღარავინ გეკითხება მერე და მიჰყავთ პირდაპირ ცხინვალში. იქიდან გამოხსნას კი, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ფული სჭირდება. ხალხი ძალიან ცუდ დღეში ვართ. აღარ ვიცით, რითი ვიცხოვროთ, პირუტყვი თუ არ გვეყოლება, ნაკვეთებს თუ გაგვიყოფენ, ცხოვრებაც შეუძლებელი ხდება. ეს ძალიან დიდი პრობლემაა აქაური მოსახლეობისათვის“- გვიყვება სოფელ ტირძნისის მკვიდრი და გულისტკივილით ამატებს - „მარტო პირუტყვი კი არა, ზოგჯერ ისეც ხდება, ადამიანი ხდება იქით და მერე იმისი ასავალ-დასავალიც აღარა ჩანს, აი, სწორედ ჩვენს სოფელში, ტირძნისში მოხდა ასეთი ამბავი. ახალგაზრდა ბიჭი გავიდა იქით, მდინარის პირას და ეტყობა გზა აებნა, იქით მოხვდა და დღემდე ელოდებიან პატრონები, ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ“.

საოკუპაციო/გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა მუდმივ დაძაბულობაში ცხოვრობს: „ჩვენ პირდაპირ ვესაზღვრებით ცხინვალს. საქონელი ვერ გაგვიმრავლებია, გვემინია იქით არ გადავიდეს და რამე უბედურება არ მოგვიტანოს. მარტო ხილი და ბოსტნეული კიდევ ბევრს ვერაფერს გვაძლევს დღეს, თორემ ადრე მაგითი ვდგამდით სახლებსა, მაგითი ვცხოვრობდით ავად თუ კარგადა“ გვიყვება დ.ზ. სოფელ დიცის მაცხოვრებელი.

საქონლის ყოლა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში რისკია და ასევე დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული: „მე ფერმერი ვარ და საქონლის საკვები საკმაოდ შორიდან მომაქვს, იმიტომ რომ აქ უფრო ძვირია. თუმცა ის გზის თანხაც უკვე ძვირი გვიჯდება, რადგან საწვავიც გაძვირებულია. კარგი იქნებოდა ჩვენი სამოვრები ისეც ჩვენ რომ გვქონდეს. სათიბები აღარა გვაქვს...“

საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში მწვავედ დგას მოსავლის ჩაბარებისა და რეალიზაციის საკითხი.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში წამყვანი დარგები მეხილეობა და მებოსტნეობაა. ომამდე მოწეული მოსავლის რეალიზაციით მოსახლეობა ნორმალურად ცხოვრობდა. დღეისათვის გაძვირებულია შეწამლისა და ტრანსპორტირების ხარჯები და პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზრებზე ხარჯების უმნიშვნელო ნაწილს უფარავთ. **ტირძნისელი ფერმერი გ.ხ.** გვიყვება – „ადრე ჩამოყრილ ხილს იბარებდნენ, თუმცა დღეს ასე არ ხდება. სულ ტყუილად გადავყარეთ ეს ამოდენა ჩამოცვენილი ხილი. უნდა იყოს ამ ხილის ჩამბარებელი და გადამმუშავებელი საწარმო. ჩვენც მოვიგებდით, ისინიც. ახლა რა გამოდის, ჩვენ ვშრომობთ, მოსავალი მოგვყავს და ვეღარსად გაგვაქვს. არ მინდოდა მეტეკვა, მაგრამ რუსეთში როცა გაგვქონდა, ჩვენს შემოსავალს, ჩვენს ხილს მაშინა ჰქონდა ფასი, ან ბინას აიშენებდი, ან მანქანას იყიდდი, ან ქორწილის ფულს შემოიტანდი. ახლა? ახლა პურის ფულს ვეღარ შოულობ იმავე ხეხილის ბაღით“.

ვაშლის ჯიშები, რომელთაც მოსახლეობა აწარმოებს და ბაზარზე გააქვს, არის -სტარტისონი და გოლდენი და სხვა, მაგრამ ადგილობრივ ბაზარზე მათ დიდი გასავალი არა აქვს. ჩვენი რესპონდენტი დ.ლ. სოფელ დიციდან ამბობს, რომ მოთხოვნა მხოლოდ სტანდარტულ ერთნაირ ვაშლზე არის, ხოლო დანარჩენი თითქმის იყრება. - „კაპიკებში ვაძლევთ გადამყიდველებს. იმიტომ რომ აქ ხილი ყველასა აქვს და შენ იმისი დროც აღარა გრჩება, თბილისში დღე და ღამე ბაზარში რომ იდგე“.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად ასევე ჩართულია სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციები. თუმცა, ქმედითი დახმარების გაწევა მათთვისაც რთულია: - „ჩვენს რეგიონთან ურთიერთობა ყველას უჭირს. მოდიან კი, როგორ არა, მაგრამ გაკეთებით ბევრს ვერაფერს აკეთებენ. რამდენჯერაც ვინმე გაიტაცეს, იმდენჯერ მივმართეთ. ვერც იმათ გაარკვიეს რამე. ნაკვეთები შუაზეა გაყოფილი... მოდიან, სახელმწიფო და სამოქალაქო სტრუქტურებიც მოდიან... საერთაშორისო ორგანიზაციებიც მოდიან ხოლმე, გამოგვკითხავენ და მიდიან. ეტყობა ისინიც ვერ აგვარებენ პრობლემებს, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გადაყვანილების გამოხსნას ზოგჯერ ისევ შინაური ოსები გვიგვარებენ ხოლმე. ხან გამოსასყიდსაც ისინი იხდიან. ხან კი ეს ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურები აგვარებენ. ხშირად მოდიან“ ამბობს ჩვენი რესპონდენტი მ.გ. სოფელ დიციდან.

ჩვენი რესპოდენტები ძირითად პრობლემად მიიჩნევენ ხილის ჩამბარებელი საწარმოს არარსებობას, სასმელი და სარწყავი წყლის უკმარისობას (მიეწოდებათ, მაგრამ პერიოდული კალენდრით და არა მუდმივად). საკმარისი საძოვრების არარსებობას. სახელმწიფო სტრუქტურებისაგან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვენ.

დასკვნა

საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლების (დიცი, ტირმნისი, ქერე) მოსახლეობის ინტერვიუებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა უფრო ქმედითი აქტივობები, რათა დაცული იქნას მოსახლეობის უსაფრთხოება, აიწიოს ცხოვრების დონე, გაეზარდოს შემოსავლები და მიეცეთ ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა.

ჩვენი რესპოდენტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანასა და რეალიზაციასთან დაკავშირებით გამოყოფენ შემდეგ პრობლემებს: ხილის ჩამბარებელი საწარმოს არასაკმარისი რენტაბელობა, საჭიროა კიდევ დამატებითი საწარმოს ამოქმედება, რათა მთლიანად რეგიონი დააკმაყოფილოს; სასმელი და სარწყავი წყლის უკმარისობა (მიეწოდებათ, მაგრამ საჭიროა, სტაბილურობა და არა პერიოდული მიწოდება); საძოვრების გამოყენების შეუძლებლობა, ცხოველთა საკვების სიმკვრივე.

რეკომენდაციები:

თუ გავითვალისწინებთ, რომ საოკუპაციო ხაზთან განლაგებულ საფლებში მოსახლეობა გაზრდილი საფრთხის პირობებში ცხოვრობს და ასევე მრავალი ეკონომიკური პრობლემა აქვს, საჭიროა, ხელისუფლების მხრივ მაქსიმუმი გაკეთდეს, რომ აქ მცხოვრებ ადამიანებს უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრების საშუალება მიეცეს. ჩვენი რეკომენდაციებია:

- ხელისუფლებამ მთელი ძალისხმევა (უნდა მიმდინარეობდეს რეგულარული მუშაობა ამ საკითხებზე და არა მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ცხინვალში გადაყვანილების გამოხსნა) მიმართოს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი უფლების - იცხოვრონ უსაფრთხო გარემოში - დასაცავად. ამ მიმართულებით დეტალური რეკომენდაციები გაწერილია „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ (DRI) 2020 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში - „თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში“.

- საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ქენევის ფორმატის ფარგლებში ერგენტის შეხვედრების დროს საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს მოლაპარაკების წარმოება სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან სტაბილური, უწყვეტი ელექტრო და წყალმომარაგების პრობლემების გადასაჭრელად. ეს გარკვეულწილად დაეხმარება გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მცხოვრებთ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში;
- სახელმწიფომ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებისათვის, რომლებსაც სარწყავი წყალი შეზღუდვით მიეწოდებათ, შეიმუშაოს პროგრამა, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას თანამედროვე ეკონომიური (წვეთოვანი) სარწყავი სისტემის სტაბილურად დანერგვაში (წყლის არარეგულარული მიწოდების პირობებში ეკონომიური წვეთოვანი სარწყავი სისტემების დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის მოსავლიანობას).
- საჭიროა, საქართველოს ხელისუფლებამ საფუძვლიანად შეისწავლოს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების პრობლემატიკა. შეიქმნას განსაკუთრებული მხარდამჭერი მექანიზმები ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად. განხილული იქნას დამატებითი დახმარების შესაძლებლობები. გამოინახოს ეფექტური მექანიზმი ხილის წარმატებით რეალიზაციისათვის. მოიძიოს საშუალება მოწეული მოსავლის გასაღებისათვის - ხილის ბაზრების მოსაპოვებლად. შექმნას პირობები, რომლებიც შიდა ქართლის მოსახლეობას დაეხმარება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმატებით რეალიზაციაში, რაც დიდად შეუწყობს ხელს მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებში და გამყოფ ხაზებზე - <http://hrdc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/gamkofi%20xaz.pdf>
- საოკუპაციო ხაზთან 19 სოფელს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა – სია <https://netgazeti.ge/news/459327/>
- „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია“ - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>
- შიდა ქართლი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: გამოწვევები და გადაწყვეტის გზები ერეკლე ურუშაძე მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი - http://www.cipdd.org/upload/files/cipdd-shida_kartli_after_august_2008-geo.pdf

გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა საქართველოში

ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის ოლეგ შატბერაშვილი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის, თავმჯდომარე

შესავალი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულებაზე მიმართული კომპლექსური ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდნენ შესაბამის სფეროებში მსოფლიოში არსებულ სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, სტანდარტებს, სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებს.

ორი განსახილველი სფეროს - სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის - მნიშვნელობას საქართველოსთვის შემდეგი გარემოებები განაპირობებს:

1. ორივე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა თვით ადამიანის არსებობის, მისი სასურსათო უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ამას განსაკუთრებული დასაბუთება და ახსნა-განმარტება არ ჭირდება.
2. ორივე სფეროს განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგში და, საერთოდ, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში, რადგან ამ ორმა სფერომ, სხვა სფეროებთან შედარებით დიდი საერთაშორისო დახმარება მიიღო, და, შესაბამისად, საერთაშორისო დაკვირვების ქვეშ მოექცა.

ჩვენი ამოცანაა, შევაფასოთ პროექტის სამიზნე ჯგუფების ამ ინფორმაციაზე წვდომის მექანიზმები მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორსაა საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის არა თუ სრული, არამედ საშუალო ევროპულ დონეზე გამოყენებისგან. შესაბამისად, მას გააჩნია ზრდის დიდი შესაძლებლობები, მაგრამ მათი რეალიზაცია მხოლოდ თანამედროვე და პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენებითაა შესაძლებელი. სოფლის მეურნეობის ანალოგიურად და, შესაძლოა, უფრო მეტადაც, გარემოს გაჯანსაღების, გლობალური დათბობის შენელების და სხვა გარემოსდაცვითი მოქმედებები დამოკიდებულია სათანადო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის წვდომაზე. „უფრო მეტადაც“ ამ შემთხვევაში მიუთითებს, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს საკითხების (ადამიანის საქმიანობის) ძალიან ფართო სპექტრს, - ფაქტიურად ყველა დარგს: მშენებლობას, ენერგეტიკას, ტრანსპორტს, მრეწველობას და მრავალ სხვას.

ეს ფაქტორები განსაზღვრავს ჩვენი თემის აქტუალობას.

სოფლის მეურნეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა

საქართველოს მიერ არჩეული ევროინტეგრაციის პროცესი გულისხმობს ქვეყნის მართვასა და წარმოებაში მოქმედი პრინციპების, სქემებისა და სტანდარტების დაახლოებას ევროპულ ანალოგებთან. სასოფლო-სამეურნეო აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო - სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინფორმაციით უზრუნველყოფა - ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების (ექსტენციის ცენტრების) მეშვეობით

ხორციელდება. ევროკავშირის ქვეყნებში ათასობით სახელმწიფო ექსტენციის ცენტრი მოქმედებს.

ცალკეული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა საქართველოში დაიწყო საერთაშორისო დონორების (EU, CARE, GIZ, USAID, სხვა) დახმარებით ჯერ კიდევ 90-იან წლებში. სამწუხაროდ, პროექტების დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო დახმარების უქონლობის პირობებში, ისინი გადადიოდნენ კომერციულ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო მასალების (სარგავ-სათესი მასალები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები) და საშუალებების (ტრაქტორები და მისაბმელები და სხვა მანქანა-იარაღები) მიწოდებაზე, რაც *საკონსულტაციო საქმიანობასთან* ინტერესთა კონფლიქტს ქმნიდა. შემდგომში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამამ ENPARD-საქართველომ, რომელიც 2013 წლიდან ხორციელდება²⁰. საინფორმაციო მომსახურების გაწევისა და საკონსულტაციო შესაძლებლობების გაუმჯობესება ერთ-ერთია აღნიშნული პროგრამის 5 უმთავრესი ამოცანიდან.

ამჟამად საქართველოში, ევროპული და მსოფლიო პრაქტიკის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების (ექსტენციის) სახელმწიფო ქსელი. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპური დებულება მათ უფლებამოსილებებსა და სტრუქტურას განსაზღვრავს (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, 2018). სულ შექმნილია 53 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც 53 მუნიციპალიტეტშია განლაგებული. ერთ სამსახურში (ცენტრში) 3-5 ადამიანი მუშაობს. დამატებით, აჭარაში 2011 წლიდან ფუნქციონირებს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“²¹. ქსელს მართავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

საქართველოში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების (ექსტენციის) ქსელის შექმნა ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი დადებითი ნაბიჯია.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპური დებულების თანახმად საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ფუნქციები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- ა) ადგილზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სამინისტროსთვის მიწოდება სახელმწიფო დონეზე მართვის გაუმჯობესების მიზნით;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება სათესლე მასალის, შხამ-ქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და ტექნოლოგიების შესახებ და სხვ.

ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ცენტრების ტიპური დებულებით მწარმოებელთათვის მიწოდებული ინფორმაცია შემოიფარგლება ადგილობრივ ბაზარზე ხელმისაწვდომი მასალებითა და საშუალებებით. ინფორმაციის მიწოდება პერსპექტიული, ადგილობრივ ბაზარზე ჯერ არ შემოსული, მასალებისა და საშუალებების შესახებ არ შედის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ფუნქციებში. ეს ნიშნავს, რომ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები არ მონაწილეობენ ახალი სამომხმარებლო მოთხოვნილების ჩამოყალიბების გზით ბაზრის ფორმირების პროცესში.

²⁰ <http://enpard.ge/ge/>

²¹ <http://www.agrosc.ge/>

მეორე ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დებულება არ განსაზღვრავს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ურთიერთქმედებას სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებასთან, რაც ნიშნავს, რომ არაა განსაზღვრული, თუ ვის უნდა მიმართოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრმა, როდესაც გადასაწყვეტი საკითხი მის საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას სცდება. ეს რომ ხარვეზია, ჩანს ENPARD პროექტის ფარგლებში 2017 წელს შემუშავებული „სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია 2018-2019“-დან (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017), სადაც განვითარების ერთ-ერთ მიმართულებად გაცხადებულია:

1. (გვ. 15.) „სპეციალიზებული კვლევითი ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი ქსელის შექმნა, აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის კოორდინაციით; ბაზარზე ორიენტირებული სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების განახლებადი კურიკულუმების შექმნა და ახალგაზრდა ფერმერთა ჩართულობის უზრუნველყოფა“.
2. (გვ. 38) „ექსტენციის სამსახური მჭიდრო კავშირშია ფერმერებთან, როგორც საბოლოო მომხმარებლებთან და, ამგვარად, საკმაოდ კარგად შეუძლია მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების გამოვლენა და სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტებისთვის გადაცემა. ეს მოხდება პროფესიონალებსა და ინსტიტუტებს შორის ინფორმაციის ფორმალური და არაფორმალური გაცვლის გზით“.

განვითარების ეს მიმართულება საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ტიპურ დებულებაში გათვალისწინებული არაა. აქედან გამომდინარეობს, რომ ქსელის შექმნა არ განხორციელდა ENPARD სტრატეგიის შესაბამისად. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტრატეგია სამინისტროს მიერ დამტკიცებული არ ყოფილა.

ექსტენციის ქსელის სრულყოფის თემა კვლავ აქტუალურია და მუშაობა მის სრულყოფაზე გრძელდება. 2019 წლის ნოემბერში ფართოდ იქნა განხილული „სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია 2018-2020“ (ჯერ გამოუქვეყნებელი და დაუმტკიცებელი). მისი განსხვავება 2018-2019 წლების სტრატეგიისგან ისაა, რომ იგი მოითხოვს ქსელის გადატანას სამინისტროს *სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს*²² დაქვემდებარებაში, რომელიც 2019 წელს შეიქმნა. ასეთი სქემა არსებულზე უკეთესია. ახალი სტრატეგიის განსხვავება ისიცაა, რომ 2018-2019 სტრატეგიაში მოხსენებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქსელის შექმნის ერთი მიმართულება (პუნქტი 1) ამოღებულია, რაც ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს.

მიზანშეწონილი იქნებოდა ქსელის დაქვემდებარების კიდევ ერთი ვარიანტის განხილვა, რომელიც უფრო ახლოსაა ევროპულ და, საერთოდ, მსოფლიოში არსებულ მოდელებთან. ესაა ქსელის დაქვემდებარება *სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისთვის*²³. საქმე იმაშია, რომ მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ექსტენციის საქმიანობაში. ალბათ, ყველაზე თვალნათლივი მაგალითია აშშ საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების ქსელი, რომელიც მთლიანად ადგილობრივი უნივერსიტეტების ბაზაზეა აგებული. ფედერალური მთავრობა ცენტრებს აფინანსებს და უზრუნველყოფს საოფისე ფართობით (იხ. მაგალითი²⁴) იმ ფედერალურ შენობებში, რომლებიც უნივერსიტეტებთან ან სხვა კვლევით ორგანიზაციებთან უშუალო სიახლოვეში მდებარეობენ. ასეთი ორგანიზება უზრუნველყოფს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს მძლავრი

²² <http://www.rda.gov.ge/>

²³ <http://srca.gov.ge/>

²⁴ <https://nifa.usda.gov/extension>

მხარდაჭერით სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტებისა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ფაკულტეტების მხრიდანაც.

ევროკავშირში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ქსელების შექმნა წევრი სახელმწიფოების მთავრობების პასუხისმგებლობის სფეროა. ქსელი ყველა წევრ ქვეყანაშია შექმნილი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ორგანიზაციული მოწყობით, თუმცა აქვთ ერთი მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებელი - ყველა ეყრდნობა/მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროფილის უნივერსიტეტს ან სასოფლო-სამეურნეო კვლევით ცენტრს (ან მათ კლასტერს). ამ მხრივ საქართველოში მდგომარეობა განსხვავებულია. 2010 წლამდე არსებული 10-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი პრივატიზებულ იქნა, ამის შედეგად მათ დაკარგეს რეგულარული სახელმწიფო მხარდაჭერა. მათი თანამშრომელთა რიცხოვნობა შემცირდა დაახლოებით 10-ჯერ.

საბედნიეროდ, მოგვიანებით, დაფუძნდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი რომელიც ნაწილობრივ ახდენს დაკარგული კვლევითი სიმძლავრეების კომპენსირებას (118 თანამშრომელი, შტატგარეშე - 183 პირი). მისი ექსტენციის ქსელთან შერწყმა დიდ სარგებელს მოუტანდა როგორც ცენტრს, ასევე ქსელს. კერძოდ:

- ქსელი მიიღებდა კომპეტენტურ, და არა უბრალოდ ადმინისტრაციულ, მართვის რგოლს და სამეცნიერო მხარდაჭერას, როგორც უშუალოდ ცენტრისგან, ასევე სხვა სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტებისგან, რადგან ცენტრი მათი კვლევების კოორდინატორად უნდა მოიაზრებოდეს;
- ცენტრი შეიძენდა პრაქტიკულ სოფლის მეურნეობასთან უკუკავშირის საიმედო მექანიზმს;
- სადემონსტრაციო და საცდელი ნაკვეთები, რომელიც როგორც ქსელმა, ასევე ცენტრმა უნდა შექმნას, შეიქმნებოდა კოორდინირებულად;
- ცენტრის კვლევები მეტ პრაქტიკულ ორიენტაციას შეიძენდნენ;
- ექსტენციის სისტემა ორგანიზაციულად საერთაშორისოს დაუახლოვდებოდა, რაც ევროინტეგრაციის სფეროში მისი ამოცანების შესრულებას გააადვილებდა;
- სასოფლო სამეურნეო მეცნიერებაზე ხარჯები, რომელთა დონე 10-ჯერ ჩამორჩება საშუალო ევროპულს, გაიზრდებოდა როგორც მყისიერად, ასევე შეუზღუდავად მომავალში, რადგან ზრდა ევროკავშირის საქართველოს მიმართ რეკომენდაციებს პასუხობს (European Commission, 2018) ამდენად სტრატეგია, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ცენტრისა და ქსელის შერწყმა“, ასევე იმსახურებს დეტალიზაციასა და საზოგადოებრივ განხილვას.

გარემოსდაცვითი სფეროს საინფორმაციო უზრუნველყოფა საქართველოში

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით დაინტერესებულ პირთა უზრუნველყოფა ასევე შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ:

- ა) ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, რაც მოიცავს სისტემატურ მონიტორინგს, მისი შედეგების დამუშავება/შენახვას და საზოგადოებისთვის გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფას.
- ბ) ინფორმაცია გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და ტექნოლოგიების შესახებ, რაც მოიცავს ადგილობრივი და საერთაშორისო საინფორმაციო ნაკადების მონიტორინგს, საქართველოსთვის რელევანტური მასალის გადარჩევას და ადგილობრივი დაინტერესებული მხარისათვის მიწოდებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაცია თემატურად ძალიან ფართოა. იგი ეხება ადამიანის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს და, შესაბამისად, მოითხოვს ინფორმაციის

შეგროვება-გადამუშავებაში ორგანიზაციათა გაცილებით უფრო ფართო წრის მონაწილეობას, ვიდრე რომელიმე სხვა ცალკე აღებული სფერო.

როგორც ა), ასევე ბ) პუნქტების მიმართულებით, ძალიან დაბალია კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ჩართულობა, რაც მათი საერთო დასუსტებითაა გამოწვეული. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად (UNDP, 2016) მიუხედავად საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო დონორების მიერ რიოს კონვენციების²⁵ განხორციელების კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, მაინც არის პრობლემები კვლევით და ანალიზურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც სამეცნიერო ინსტიტუტების არასწორი ორგანიზაციათა გამოწვეული და ხელს უშლის საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესებას.

ამჟამად გარკვეულ საინფორმაციო სამუშაოებს ახორციელებენ კვლევითი ინსტიტუტების ნარჩენები და მსხვილი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ვებ-გვერდების, ელექტრონული ბიულეტენების, პუბლიკაციების, საინფორმაციო შეხვედრების და სემინარების საშუალებით, თუმცა მათი შესაძლებლობები შეზღუდულია. არარეგულარულ სამუშაოებს ასრულებენ, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი მცირე არასამთავრობო ორგანიზაციები. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე²⁶ განთავსებულია გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენებები, სამინისტროს წლიური ანგარიშები, გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენები და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რუკა/რეესტრი.

ამასთან ერთად, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გარემოს მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის წვდომა ხშირად უაღრესად გართულებულია იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც იგი ეხება საზოგადოების მხრიდან მაღალი ინტერესის გამომწვევ პროექტებს და ოფიციალურადაა მოთხოვნილი კომპეტენტური კვლევითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. იგივე ეხება ინფორმაციას განსაკუთრებით მასშტაბური დაბინძურებების შესახებ, რომელსაც საწარმოები იწვევენ²⁷. ეს ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და, საერთოდ, საინფორმაციო მუშაობის სერიოზული ხარვეზია.

დასკვნა და რეკომენდაციები

ორივე განხილული სფერო, - სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა - მოითხოვს საინფორმაციო მუშაობის მოცულობის და ხარისხის ზრდას. ორივე სფეროს განვითარებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო კვლევებს, ანალიზსა და ცოდნის გადაცემას. ევროკავშირში საინფორმაციო საქმიანობა კვლევითი საქმიანობის გაგრძელება/გაფართოებაა (ექსტენცია). ევროკავშირის საშუალო ხარჯი კვლევასა და კვლევით მომსახურებაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2% შეადგენს, დასახული მიზანი კი 3%-ა. საქართველოში კვლევაზე ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2%-ა, რაც ნიშნავს, რომ წლების განმავლობაში კვლევის სათანადო მხარდაჭერა არ ხორციელდება. ეს საერთაშორისო მისიებმა არაერთგზის აღნიშნეს. არსებულ ინფორმაციაზე წვდომის სირთულე კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც, როგორც ჩანს, სერიოზულ ადმინისტრაციულ და, შესაძლოა, საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, ჩვენი რეკომენდაციები შემდეგია:

²⁵ <https://www.cbd.int/rio/>

²⁶ <http://www.eiec.gov.ge/>

²⁷ არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ასახელებენ: Rich Metals Group - RMG, ჯორჯიან მანგანეზი, საქნახშირი და ჰაიდელბერგემენტი (greenalt.org/news/mskhvili_damabinzureblebis_shesaxeb/)

- ექსტენციის ქსელის სრულყოფის/რეფორმირების შემდეგი ფაზის დადგომამდე, გადაუდებლად, არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების დებულებებში აისახოს მათი ურთიერთქმედება სასოფლო-სამეურნეო კვლევით ცენტრთან, ხოლო კვლევითი ცენტრის დებულებაში - ურთიერთქმედება საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ქსელთან;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტში გაზრდილ იქნას მეცნიერებაზე/კვლევაზე ხარჯები სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების ქსელისა და გარემოსდაცვითი პროფილის კვლევების მხარდაჭერის/გაფართოების მიზნით. მხედველობაში გვაქვს ხარჯები არა მხოლოდ საკუთარი დაქვემდებარების, არამედ ნებისმიერი დაქვემდებარებისა და ტიპის ორგანიზაციების დასაფინანსებლად;
- განხილულ იქნას, სხვა ორგანიზაციულ ფორმებთან ერთად, ექსტენციის ქსელის *სოფლის მეურნეობის* სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისთვის დაქვემდებარების საკითხი, როგორც ექსტენციის ევროპულთან მიახლოებული პერსპექტიული მოდელი;
- **განხილულ იქნას რამდენიმე პროფილური კვლევითი ინსტიტუტის უნივერსიტეტებიდან** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის საკითხი
- **პროფილური კვლევით ინსტიტუტებისა და სამინისტროს (მისი სააგენტოების) დებულებები** შეჯერებულ იქნას მათი კვლევითი და საინფორმაციო საქმიანობის მჭიდროდ დაკავშირების მიზნით.
- განხილულ იქნას გარემოს შესახებ კანონით ნებადართული ინფორმაციის მიწოდებაზე მომხმარებლისთვის უარის თქმის, ან საჯაროდ არ გაცხადების ყველა შემთხვევა, მიზეზების დადგენის მიზნით და ყველა შემთხვევას მიეცეს შეფასება (ინფორმაციის არქონა, გადაცემის სურვილის არქონა, თანამშრომლის დაუდევრობა, კანონის ხარვეზი და სხვა).

გამოყენებული ლიტერატურა

- სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო (2018). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპური დებულება.
<https://mepa.gov.ge/Ge/Page/RegionalInformationConsultationCenters>
- The Rio Conventions - digitallibrary.un.org/record/749646
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია 2018-2019 - <http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf>
- ENPARD (*სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამა* - <http://enpard.ge/ge/>).
- European Commission (2018). *Improving the Effectiveness of Georgia's Research and Innovation System in Georgia through Prioritisation, Selectivity of Funding and Science-Business Links*. Luxembourg: Publications Office of the European Union, ISBN 978-92-79-86303-5, doi:10.2777/446285 - <https://rio.jrc.ec.europa.eu/sites/default/files/report/SS%20Georgia%20-%20Final%20Report.pdf>
- UNDP (2016). *Harmonization of information management for improved knowledge and monitoring of the global environment in Georgia*. (<https://undpgefpmis.org/attachments/4883/213638/1722607/1733215/4883%20TE%20Georgia%20final%20and%20signed.pdf>, <http://ieec.gov.ge/>) (ნანახია 2020 წლის 20 ნოემბერს)



ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხელმისაწვდომობა და ადამიანის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებების დაცვა

ირინა ფუტკარაძე, საზოგადოებრივი დამცველი

შესავალი

დღეს, ისე, როგორც, არასდროს ადამიანს ალღევს თუ რამდენად სუფთა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრობს, ეკოლოგიური პრობლემების კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური ხდება უვნებელ და ხარისხიან სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

საკითხის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც რომ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის პერიოდში, საქართველომ ა.წ. თებერვალში სტრასბურგში გამართულ კონფერენციაზე წამოაყენა ნოვატორული იდეა - გარემოს დაცვა ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან, თუ რა შესაძლებლობები არსებობს ეკოლოგიურ საფრთხეებთან საბრძოლველად ადამიანის უფლებათა სფეროში. ნოვატორულმა იდეამ, მაღალი შეფასება დაიმსახურა ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობისა და თავად ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მხრიდან²⁸. სწორედ რომ, ამ იდეას ეხმიანება „საზოგადოებრივი დამცველის“ საქმიანობა მოცემულ პროექტში.

დეგრადირებულ, არაჯანსაღ გარემოში ცხოვრება არღვევს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს როგორცაა: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სურსათზე ხელმისაწვდომობის და წყლის მიღების, მშვიდად ცხოვრების და სხვა უფლებები.

დღეისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სუფთა, ჯანსაღ და უვნებელ სურსათზე ადამიანის ხელმისაწვდომობის საკითხი სხვადასხვა სიმწვავეთ იკვეთება. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია, რომელიც სპეციფიკურად გარემოს საკითხებს ეხება, სუფთა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების უფლება დღესდღეობით მეტწილად რეგიონული ინსტრუმენტებით და შიდა სახელმწიფოებრივი დოკუმენტებით, კერძოდ კონსტიტუციებით რეგულირდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადამიანისთვის უფლებრივ დონეზე, კონსტიტუციით გარანტირებულია უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოზე წვდომა, პრაქტიკულ დონეზე ამ უფლების რეალიზაცია პრობლემური საკითხია, განსაკუთრებით როცა ეს პროექტის ინტერესის სფეროს - ჯანსაღ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ხელმისაწვდომობის გზით უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას ეხება.

პრობლემის აღწერა

²⁸ High-level Conference - Environmental Protection and Human Rights <https://www.coe.int/en/web/human-rights-rule-of-law/human-rights-and-the-environment>

ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა 1950 წლის კონვენციაც კი, მიუხედავად პირველად სახეზე დროთა განმავლობაში, ოქმების სახით არაერთი უფლების დამატებისა, არ საუბრობს უსაფრთხო გარემოზე წვდომის უფლებაზე. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ცალსახად განსაზღვრულია, რომ გარემოს დაბინძურების სხვადასხვა სახემ შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანის ისეთ უფლებათა დარღვევები, როგორცაა სიცოცხლის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება და სხვა. სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტის მიერ ინტერპრეტირებულ იქნა რომ ჯანმრთელობის უფლება მოიცავს ჯანმრთელ გარემოზე წვდომის უფლებასაც. ამ კონტექსტში სახელმწიფოს ვალდებულებად დანახულია გარემოს რისკების იდენტიფიცირებისა და პრევენციული ზომების სისტემატური მიღება, სუფთა გარემოს შენარჩუნების უფლებას ახალი თაობის უფლებებს განაკუთვნიებენ.

გაერთიანებული ერების რიოს დეკლარაცია (1992 წ.) ადამიანის განვითარების უფლების რეალიზაციას ხედავს ახლანდელი და მომავალი თაობების განვითარებისა და გარემოზე წვდომის საჭიროებების რეალიზაციასთან თანხვედრაში. ეს დებულება ითვლება მდგრადი განვითარების კონცეფციის ფუძემდებლურ პრინციპად, ეკონომიკური ინტერესებისა და გარემოს დაცვით ნორმებს შორის სამართლიანი ბალანსისა და წონასწორობის უზრუნველყოფის მისაღწევად.

აღსანიშნავია, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2011 წლის ანალიტიკური კვლევა გარემოსა და ადამიანის უფლებებს შორის არსებულ ურთიერთობაზე. 2018 წლის მარტში გაეროს ადამიანის უფლებების და გარემოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში – „ჩარჩო პრინციპები ადამიანის უფლებებსა და გარემოზე“ თავს უყრის სახელმწიფოს ძირითად ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა სამართლის სფეროში, კერძოდ, უსაფრთხო, სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოთი სარგებლობის საკითხებს.

ეკოლოგიური თვალსაზრისით სუფთა, ჯანმრთელ გარემოსა და ჯანსაღ და უვნებელ სურსათზე ხელმისაწვდომობას შორის პირდაპირპროპორციული კავშირია, რასაც ეკოლოგიური წონასწორობა²⁹ აბალანსებს. ანთროპოგენური ფაქტორის ზეგავლენა გარემოზე, არღვევს ამ წონასწორობას. დეგრადირებულ და დაბინძურებულ გარემოში ჯანსაღი და ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიღების მეტად დაბალი ალბათობა არსებობს. დეგრადირებულ ნიადაგზე ჯანმრთელი მცენარე ვერ გაიზრდება. დაბინძურებული ჰაერი უამრავი მავნე ნაერთის წყაროა ადამიანთა და ცხოველთა ორგანიზმში მოსახვედრად. დაბინძურებული პროდუქტის მიღებისას ადამიანი პოტენციურად უკვე სხვადასხვა დაავადების რისკის ქვეშ ხვდება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2015 წლის მონაცემებით უხარისხო სურსათი ყოველწლიურად 600 მილიონ ადამიანში იწვევს კვებისმიერ დაავადებებს და 420 000 შემთხვევა სიკვდილით სრულდება. მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებით უხარისხო სურსათის მიღების შედეგად დაკარგული პროდუქტიულობისა და სამედიცინო საჭიროებებისგან გამოწვეული ყოველწლიური ხარჯი საშუალო და დაბალ შემოსავლიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში 110 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ადამიანის უსაფრთხო გარემოზე წვდომის, მათ შორის ჯანსაღ და უვნებელ სურსათზე წვდომის საკითხი, როგორც ადამიანის უფლება და სხვა უფლებათა რეალიზაციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, საქართველოშიც პრობლემურია.

²⁹ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების დაცვა, რომელიმე კომპონენტის დეგრადირების შედეგად ირღვევა არსებული წონასწორობა, რაც თავისთავად წარმოადგენს ადამიანის არაჯანსაღ გარემოში ცხოვრების წინაპირობას.

2020 წელს ევროკავშირმა მიიღო ახალი სტრატეგია – „ფერმიდან ჩანგლამდე“ („Farm to Fork“), რომლის მიზანია ევროკავშირში უზრუნველყოს სურსათის უვნებლობისა და ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელებისა და სათანადო მონიტორინგის საშუალებით, ეფექტური შიდა ბაზრის უზრუნველსაყოფად. თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება ჰქონდეს ინფორმაცია მის მიერ მოხმარებული პროდუქტის წარმოების, დამუშავების, შეფუთვის, ეტიკეტირების და გაყიდვის პროცესის შესახებ. ინტეგრირებული მიდგომით სურსათის წარმოების ჯაჭვის ყველა ეტაპზე იქნება უზრუნველყოფილი უსაფრთხოების შესაბამისი დონე, რომელიც მოიცავს კონტროლს მეურნეობის და ფერმის დონეზე, კონტროლს საზღვარზე, შემოყვანილ ცხოველებზე, მცენარეებზე და სასურსათო პროდუქტებზე. კონტროლს შიდა ტრანსპორტირებისას, ასევე სურსათის გადამამუშავებელ საწარმოებზე, საბითუმო მოვაჭრეებზე, სუპერმარკეტებზე, საცალო ვაჭრობაზე, და რესტორნებზე და ბოლოს პროდუქტის კონტროლს სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

საკანონმდებლო დონეზე, გარემოს დაცვის საკითხებს საქართველოს კონსტიტუცია აწესრიგებს. დოკუმენტის დღევანდელ რედაქციაში იგი გამიჯნულია ჯანმრთელობის დაცვის უფლებისგან, თუმცა ხაზგასმულია, რომ ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, ისევე როგორც უფლება აქვს დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ³⁰. „გარემოს დაცვის შესახებ“³¹ საქართველოსკანონი თითოეულ მოქალაქეს მისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების, ასევე გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლების მიღების და გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების უფლებას ანიჭებს.

საქართველოს გარემოს საკითხების რეგულირების ვალდებულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითაც აქვს განსაზღვრული, სადაც გარემოს დაცვა დაკავშირებულია ადამიანთათვის სარგებლის მოტანასთან, მათ შორის გაუმჯობესებული საყოველთაო ჯანდაცვის, კუთხით. ვალდებულება მოიცავს სურსათის უვნებლობის, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით კანონმდებლობისა და ზოგადი რეგულაციების ეტაპობრივ მიახლოებას საქართველოს მხრიდან ევროკავშირის სტანდარტებთან.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ უსაფრთხო გარემოზე, მათ შორის ჯანსაღ უვნებელ სურსათზე წვდომის საკითხი ადამიანის უფლებების კუთხით საქართველოში სათანადო დონეზე არ არის დანახული. ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების ერთ-ერთ მიმართულებას ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა წარმოადგენს, რაც მხოლოდ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესებას და ცნობიერების ამაღლებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის და ჩართულობის უზრუნველყოფას, გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ეხება. ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოზე წვდომის უფლების სრულფასოვან რეალიზაციას სახელმწიფოში ჯერ კიდევ გამოწვევად მიიჩნევა საქართველოს სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშში, მოყოლებული 2013 წლიდან. **ჯანსაღ და უვნებელ სურსათზე წვდომის აუცილებლობა ადამიანისთვის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციისთვის, საქართველოში არც ერთ დოკუმენტში არ არის ხაზგასმული.**

³⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29

³¹ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, II თავი, მე-6 მუხლი.

მიუხედავად საკანონმდებლო და აღსრულების დონეზე განხორციელებული სხვადასხვა აქტივობისა, ჯანსაღი და უვნებელი სურსათით უზრუნველყოფისა და უსაფრთხო გარემოზე წვდომის, როგორც ადამიანის უფლებების რეალიზაციის საკითხი უფრო და უფრო მეტად დგას დღის წესრიგში.

საქართველოს მოსახლეობა უკვე ათწლეულებია ძირითადად მოიხმარს დაბალი ხარისხის პროდუქციას, რის გამოც ზიანდება ადამიანებისა და მომავალი თაობების ჯანმრთელობა. თუმცა, არ არსებობს კვებისმიერი დაავადებების და თანმდევი სიკვდილოანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობდა საკითხის სიმწვავეს უკეთ აღქმას. არასამთავრობო სექტორის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს სურსათის უვნებლობის კონტროლის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი³², ასევე ქვეყანაში ბიოწარმოების და აგრარული ბიომრავალფეროვნების მიმართულებით მიმდინარე რეფორმებზე ხორციელდება მონიტორინგი³³, ისევე როგორც საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ საკითხებთან მიმართებაში. თუმცა ცალკეული ორგანიზაციების მონდომებით სასურსათო ბაზრის ჯანსაღი და ხარისხიანი პროდუქციით გაჯერება რეალობას მოკლებულია.

ჯანსაღ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის კუთხით ინფორმაციის მოსაპოვებლად და არსებული მდგომარეობის შესაფასებლად პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ ინლაინ გამოკითხვა. გამოკითხული იყვნენ ძირითადად ფერმერები, სოფლის მეურნეობის ექსპერტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უბრალო მომხმარებლები.

გამოიკვეთა, რომ ჯანსაღი და ხარისხიანი პროდუქტის მოხმარება მაღალი მნიშვნელობის მქონეა ყველა რესპონდენტისათვის. თუმცა, მხოლოდ ზოგიერთმა განაცხადა, რომ სუფთა და ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მათთვის არის ხელმისაწვდომი. პროდუქტების შეძენა ხდება როგორც აგრარულ ბაზრებში, ისე ქსელურ სავაჭრო ობიექტებსა და უბნის სუპერმარკეტებში. ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შეძენის ადგილად თვითონ სოფელიც დასახელდა.

საინტერესოა, რომ აგრარულ ბაზრებში განთავსებული პროდუქტი მეტ-ნაკლებად ჯანსაღად იქნა შეფასებული, თუმცა არასათანადო სანიტარული ნორმების გამო რესპონდენტებმა ეჭვქვეშ დააყენეს მათი სანდოობა. სწორედ ამის გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ქსელურ სავაჭრო ობიექტებს, რომელთა პროდუქციის სიჯანსაღეშიც გამოკითხულთა ნაწილი არ არის დარწმუნებული, რაც უკავშირდება პროდუქტებზე ინფორმაციის ნაკლებობას. პროდუქციის შესახებ ინფორმაციას ისინი დატანილი ეტიკეტების მეშვეობით იღებენ, თუმცა ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია ხშირად არ არის ინფორმაციული და გასაგები. ასე მაგალითად პროდუქტში პესტიციდების შემცველობის შესახებ ინფორმაცია არ მიაჩნიათ სრულყოფილ ინფორმაციად. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა აქვე აღნიშნავენ ქართული პროდუქციის არჩევანის სიმწირეს და დანაკლისს ბაზარზე.

გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით უფრო მკაცრი კონტროლის დაწესების საჭიროებას ხედავენ, ისევე როგორც

³² მაგალითად ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ საქმიანობა - momxmarebeli.ge

³³ მაგალითად ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, www.elkana.org.ge

ქვეყანაში ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის გამოიკვეთა მომხმარებლის ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა.

დასკვნა და რეკომენდაციები

საზოგადოებაში არსებობს უსაფრთხო გარემოში ცხოვრების მოთხოვნილება, მათ შორის ხარისხიანი და ჯანსაღი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოხმარების ინტერესი, თუმცა ამ კუთხით სრულ და სანდო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას ვაწყდებით. პრობლემას არა მხოლოდ ინფორმაციის ნაკლებობა, არამედ თვითონ ჯანსაღი და უვნებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ბაზარზე არსებობის საკითხი ქმნის, რაც საბოლოოდ ბაზარზე სტანდარტების და რეგულაციების არაქმედითობის ან მათზე კონტროლის სისუსტის შედეგია.

ადგილზე წარმოებულ პროდუქტს ენიჭება უპირატესობა, როგორც აგრარულ ბაზრებზე, ისე სოფლად პროდუქტების შეძენის შემთხვევაში. რასაც გამოკითხვის შედეგები ადასტურებს. თუმცა აქვეა სანდოობის, ასორტიმენტისა და არჩევანის პრობლემები.

საკანონმდებლო დონეზე უსაფრთხო გარემოზე წვდომის უფლებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები მიუთითებს, რომ ხელისუფლების დონეზე საკითხის ცნობადობა არსებობს, რაც შესაძლოა საერთაშორისო ვალდებულებების შედეგი იყოს, თუმცა, განიცდის აღსრულებისათვის საჭირო, როგორც კანონმდებლობის ისე მექანიზმების ნაკლებობას.

შეიძლება ითქვას, რომ ჯანსაღ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყანაში, არ არის დანახული ადამიანის უფლებათა რეალიზებისა და დაცვის ჭრილში, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რეალიზების კუთხით.

შესაბამისად რეკომენდაციების სახით, მნიშვნელოვანია:

- კვლევების განხორციელება ადამიანთა ჯანსაღ და უვნებელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ხელმისაწვდომობის შესაფასებლად, - მოთხოვნის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისათვის;
- ადამიანის უსაფრთხო გარემოზე წვდომის უფლების საკითხის ასახვა და ინტეგრირება ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში, მათ შორის ჯანსაღ და უვნებელ სასურსათო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის საკითხის გათვალისწინებით;
- სახალხო დამცველის ინსტიტუტის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ჯანსაღ და უვნებელ სურსათზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებს, როგორც ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემოს უფლების რეალიზაციის კომპონენტს;
- გამკაცრდეს და ეფექტური გახდეს იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ხარისხის კონტროლი და გაუმჯობესდეს შესაბამისი ინფორმაციის ასახვა მომხმარებლის სრული ინფორმირებისა და სანდოობის ასამაღლებლად;

გამოყენებული ლიტერატურა:

- ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა-რედ. კონსტანტინე კორკელია. თბილისი 2018 წ. - http://ewmi-prolog.org/images/files/4791AUD_2018_Inter_N.pdf
- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ - <https://matsne.gov.ge/ka/document/download/33340/14/ge/pdf>
- “Association agreement between the EU and Georgia” - European Parliament. April 2020 - [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/642820/EPRS_STU\(2020\)642820_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2020/642820/EPRS_STU(2020)642820_EN.pdf)

- European Commission, FOOD SAFETY: OVERVIEW- https://ec.europa.eu/food/overview_en
- The world bank: publication-“The Safe Food Imperative: Accelerating Progress in Low- and Middle-Income Countries” October 23, 2018 - <https://www.worldbank.org/en/topic/agriculture/publication/the-safe-food-imperative-accelerating-progress-in-low-and-middle-income-countries?fbclid=IwAR0cK-rbweJaYm6B6AuDB7ZJmoUoi9xcS8hr9SaCj0tt5DImC486Lbx59EU>
- United Nations, General Assembly, -, „Report of the United Nations Conference On Environment and Development” 12 August 1992-
https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_CONF.151_26_Vol.I_Declaration.pdf?fbclid=IwAR34cN3eH4Cnc3TNkkCW1RciyrCyi2ls37BXdKgaPITuIo3kf4mD8pZhQDs

ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებების განხორციელების შეფასება ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში

ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი

ქეთევან კურცხალია, ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრის დირექტორის მოადგილე

შესავალი

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა სამართლის ფუნდამენტური პრინციპია და აღიარებულია, როგორც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობა საქართველოში. გენდერული თანასწორობის გაძლიერება და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალებისა და მამაკაცების მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა საქართველოს და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგით დასახული ერთ-ერთი მოკლევადიანი პრიორიტეტია. კერძოდ ასოცირების შეთანხმების 349-ე მუხლის(e) პუნქტი ხაზს უსვამს „გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე, სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან მრწამსის შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას“.

გამოკითხვის მეთოდოლოგია

ქალთა პოლიტიკურმა რესურს ცენტრმა პროექტის – „სამოქალაქო ჩართულობა სამომხმარებლო ბაზარზე ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განთავსების ხელშეწყობისთვის“ – ფარგლებში ჩაატარა გამოკითხვა „გენდერული თანასწორობის დამკვიდრების და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოტენციალის გამოვლენა პროექტის სამიზნე ჯგუფებში“.

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებების განხორციელების შესწავლას ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში საქართველოში.

გამოკითხვა ჩატარდა 2 ეტაპად: სხვადასხვა უწყების მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიშების შესწავლა/ანალიზი და თვისებრივი სიღრმისეული ინტერვიუები პროექტის სამიზნე ჯგუფის წევრებთან.

გენდერული თანასწორობის ეროვნული ნორმატიული ბაზა:

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, მე-11 მუხლის თანახმად „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცების და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი მიღებულ იქნა 2010 წელს; კანონი განსაზღვრავს გენდერულ თანასწორობას, „როგორც ადამიანის უფლებათა ნაწილს, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება – მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში“.

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

„დისკრიმინაციის ყველს ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი მიღებულ იქნა 2014 წელს (ანტი დისკრიმინაციული კანონი); კანონი კრძალავს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას.

კანონი სექსუალური შევიწროების შესახებ

კანონი სექსუალური შევიწროების შესახებ მიღებულ იქნა 2019 წელს. კანონი, განსაზღვრავს სექსუალურ შევიწროებას პირის მიმართ „არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევად, რომელიც მიზნად ისახავს და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამამინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმები:

გენდერული თანასწორობის პრინციპების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, ქვეყანაში ცენტრალურ დონეზე ფუნქციონირებს:

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო;

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორის კომისია;

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში;

საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი;

თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების გენდერული თანასწორობის საბჭოები (49).

საველე სამუშაოები და გამოკითხვის შედეგები

გურიის რეგიონში გამოიკითხა პროექტის – „სამოქალაქო ჩართულობა სამომხმარებლო ბაზარზე ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განთავსების ხელშეწყობისათვის“ – სამიზნე ჯგუფის წევრები, მათ შორის 33.3% ქალი, ხოლო 66.7% – მამაკაცი.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა გამოკითხვამ გვიჩვენა შემდეგი, საქართველოში მოქმედ ქალთა უფლებების დაცვასა და გენდერული თანასწორობის სამართლებრივ, მარეგულირებელ პოლიტიკურ ჩარჩოს კარგად იცნობს რესპონდენტთა მხოლოდ 13.33%, მეტ-ნაკლებად 46.67% და საერთოდ არ იცნობს რესპონდენტთა 40%.

რესპონდენტთა მხოლოდ 40%-ს მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ან ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამაში, როგორც ბენეფიციარს.

რესპონდენტთა 26% თანამშრომლობდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო სტრუქტურასთან ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე.

გამოკითხულთა 33.3%-ს მიუღია მონაწილეობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამაში.

გამოკითხულთა 0% ეყრდნობა გენდერულ სტატისტიკას აქტივობების და პროექტების დაგეგმვისას.

ახალი თანამშრომლის მიღებისას გენდერული თანასწორობის და არა დისკრიმინაციის პრინციპებს ითვალისწინებს გამოკითხულთა 20%.

რესპონდენტთაგან მხოლოდ 3 ორგანიზაცია ანუ 20% უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცებისათვის წინსვლის თანასწორ შესაძლებლობებს ინოვაციურ პროგრამებსა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას.

არც ერთ ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული სამუშაო ადგილზე სექსიზმის და დისკრიმინაციის გამოვლინების საწინააღმდეგო პოლიტიკა.

რესპონდენტთა მხოლოდ 20%-ს მიაჩნია ეფექტურად ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და გენდერულ თანასწორობაზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე არსებული სამი ყველაზე მწვავე პრობლემის ჩამოთვლისას რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ ინფორმაციის სიმცირეზე, საწყის ფინანსურ მხარდაჭერასა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობაზე.

რესპონდენტთა 33.3% ფიქრობს, რომ კოვიდ 19-ს განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ქალებზე, ხოლო 66.7% აღნიშნავს, რომ პანდემიას ქალებსა და მამაკაცებზე ერთნაირი გავლენა აქვს.

გამოკითხულთა 100% მიიჩნევს, რომ კოვიდ 19-ით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამებში ქალთა და მამაკაცთა საჭიროებები არ არის გათვალისწინებული.

გურიის რეგიონში ჩატარებულმა გამოკითხვა, ნათლად დაგვანახა, რომ მცირე და საშუალო მეწარმეები, თავიანთი საწარმოს განვითარების სტრატეგიაში სათანადოდ არ ითვალისწინებენ გენდერული უთანასწორობის საკითხებსა და მეწარმე ქალთა საჭიროებებს. მცირე და საშუალო მეწარმეები, განვითარების სტრატეგიაში ადგილს არ უთმობენ გენდერულ ანალიზს, ამასთან გენდერული ფაქტორი არ არის ასახული მიზნებში, აქტივობებში, ბიუჯეტის შედგენის პროცესსა და ინდიკატორებში.

სტრატეგიის კომუნიკაციაში არ არის გათვალისწინებული გენდერული სპეციფიკა ამასთანავე, სათანადო საბაზისო მონაცემების გარეშე, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია ვერ უზრუნველყოფს ისეთი ჩარევით ღონისძიებების გატარებას, რომლებიც გააუმჯობესებდა ეკონომიკურ მაჩვენებლებს მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში დასაქმებული ქალებისა და მამაკაცებისთვის, ვინაიდან მათი საჭიროებები, პრობლემები და შესაძლებლობები განსხვავებულია. გარდა ამისა, საწყისი მონაცემების არარსებობა თითქმის შეუძლებელს ხდის ქალებსა და მამაკაცებზე მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის გავლენის მონიტორინგსა და შეფასებას.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გენდერული თანასწორობა განხილულ უნდა იქნას როგორც გამჭოლი საკითხი და არა როგორც განყენებული თემა. გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი დოკუმენტებით განსაზღვრული საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებები, როგორცაა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია, მდგრადი განვითარების მიზნები, საქართველოს კონსტიტუცია, რეგიონული და/ან სასოფლო სტრატეგიები ან ანალოგიური დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს ანტი-დისკრიმინაციულ, ქალთა და/ან გენდერული თანასწორობის საკითხებს.

რეკომენდაციები

გამოკითხვამ გამოავლინა, რომ გურიის რეგიონში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების და დისკრიმინაციის აღმოფხვრის თვალსაზრისით, მდგომარეობა გასაუმჯობესებელია.

გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას და დისკრიმინაციის აღმოფხვრას სხვადასხვა ფაქტორი ედობება - კულტურული, რელიგიური თუ ეკონომიკური.

სახელმწიფო ინსტიტუტებმა და არასამთავრობო სექტორმა მეტი ძალისხმევა უნდა გასწიონ გენდერული თანასწორობის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით გურიის რეგიონში.

კერძოდ, პროექტის ბენეფიციარებში უნდა გაიზარდოს:

- ინფორმირებულობა საქართველოში მოქმედ ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური ჩარჩოს შესახებ;
- ინფორმირებულობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ან ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შესახებ და ამ პროგრამებში ჩართვის ხელმისაწვდომობა;

- გენდერული თანასწორობის სახელმწიფო სტრუქტურასთან – ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე – თანამშრომლობის ხელმისაწვდომობა;
- ინფორმირებულობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების შესახებ და ამ პროგრამებში ჩართვის ხელმისაწვდომობა;
- აქტივობების და პროექტების დაგეგმვისას გენდერული სტატისტიკის გამოყენების უნარ-ჩვევები;
- გენდერული თანასწორობის და არა დისკრიმინაციის პრინციპების გათვალისწინება თანამშრომლების მიღებისას;
- ქალებისა და მამაკაცებისათვის წინსვლის თანასწორი შესაძლებლობები ინოვაციურ პროგრამებსა და ფინანსურ რესურსებზე;
- სამუშაო ადგილზე სექსიზმის და დისკრიმინაციის გამოვლინების საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვა;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობაზე მიმართულ სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში ჩართვა და სასურველი ცვლილებების ადვოკატირება;
- კოვიდ 19-ით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამებში ქალთა და მამაკაცთა საჭიროებების გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

- ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>
- კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>
- კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>
- საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის (ე) პუნქტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4548377?publication=0>